ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
3 ნოემბერი
1940 წ.
№ 257 (5958)
ფასი 10 კაპ.

წარმატებით შევასრულოთ ციტრუსოვანთა დამზადების გეგმა

Დაიწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა. საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, კიევის და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების მშრომელებისათვის საოქტომბროდ უკვე გაგზავნეს ახალი მოსავლის ნაყოფით სავსე პირველი ათეული ვაგონები.

კიდევ რამდენიმე დღე და მზიურ საქართველოს ნარინჯოვანთა პლანტაციებში მასობრივი კრეფა გაჩაღდება. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დროულად და უდანაკარგოდ ავიღოთ ციტრუსების მთელი მოსავალი და ორგანიზებულად ჩავატაროთ დამზადება. დამამზადებელი ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახლა ყოველმხრივ მზად უნდა იყვნენ ამ მეტად სერიოზული და პასუხსაგები სამუშაოებისათვის. მაგრამ ყველგან ასე როდია.

როგორც ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის საქართველოს განყოფილების მიერ ამ დღეებში ჩატარებულმა მასობრივმა შემოწმებამ ცხადჰყო, მიუხედავად დაწესებული ვადების გასვლისა, ზოგიერთი რაიონი ჯერაც არ არის მზად მანდარინის მასობრივი კრეფისა და დამზადების შესახვედრად. „საქკონსერვტრესტს“ და სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს ბევრ ადგილას ჯერაც არ დაუმთავრებიათ ციტრუსების ნაყოფის შემფუთავი და გადამმუშავებელი პავილიონების მშენებლობა და რემონტი. შეუწყნარებლად ჭიანურდება მექანიზმების დადგმა და მუშა-ხელის შეგროვება, პავილიონებთან მუშათა საცხოვრებელი ბინების მოწყობა, ტრანსპორტის წესრიგში მოყვანა და სხვ. როგორც სჩანს სუბტროპიკული ზონის ზოგიერთი რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ვერ გაითვალისწინეს გასული წლის გაკვეთილები, როცა მოუმზადებლად შეხვედრის გამო ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფასა და დამზადებაში ადგილი ჰქონდა შეფერხებებს.

რით უნდა აიხსნას, თუ არა უყურადღებობით ის გარემოება, რომ „საქკონსერვტრესტის“ გაგრის პავილიონის მშენებლობა, რაც ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა დამთავრებულიყო, ახლაც არ არის დამთავრებული. პავილიონში წვიმა ჩამოდის, არ არის ელექტროგანათება, არ დაუგიათ ასფალტის იატაკი, არც მექანიზებული შემფუთავი მაგიდის გამართვას შესდგომიან. გუდაუთისა და გალის პავილიონები შეუკეთებელია, სოხუმის პავილიონში ჯერაც არ მოუწყვიათ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამყალიბებელი მანქანა და არ დაუმთავრებიათ ელსადგურის რემონტი.

გაგრის, სოხუმის, გუდაუთისა და გალის რაიონების ხელმძღვანელთა ვალია სასწრაფოდ მიიღონ ზომები, რათა უახლოეს დღეებში გამოასწორონ ციტრუსოვანთა დამზადებისათვის მზადებაში არსებული ნაკლოვანებანი.

ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების რესპუბლიკური გეგმის მეტი ნაწილი აჭარაზე მოდის. ბათუმის და ქობულეთის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, „აჭარციტრუსხილდამზადების“ კანტორისა და აჭარკოოპკავშირის ხელმძღვანელებს ეს გარემოება ავალებდა სერიოზულად მოეკიდათ ხელი ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სამუშაოებისათვის. მასალები, რომლებიც ჩვენ ხელთ არის, მოწმობენ, რომ ამ მხრივ აჭარის ასს რესპუბლიკაში მთელი რიგი ნაკლოვანებებია, რომლებიც სასწრაფო გამოსწორებას მოითხოვენ.

აჭარკოოპკავშირს ციტრუსების შერჩევითი კრეფის დაწყებისას დამზადების თითქმის არცერთი ობიექტი არ ჰქონდა მომზადებული. არ დაუმთავრებიათ ბათუმის შემფუთავი. ქარხნის გაფართოება, ქობულეთში მუშათა საცხოვრებელი ბინის, ბათუმის ტარის საწყობის, აგრეთვე ბათუმის, მახინჯაურის, ქობულეთისა და ხუცუბნის ელექტროსადგურების მშენებლობა და რემონტი. აჭარკოოპკავშირის მარტო ბათუმის, ქ. ქობულეთის, სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის შემფუთავ ქარხნებს აკლიათ 640 მუშა.

მთელი რიგი ნაკლოვანებანი აქვს ისეთ დიდ დამამზადებელ ორგანიზაციას, როგორიცაა „აჭარციტრუსხილდამზადების“ კანტორა. ამ კანტორის სისტემაში შემავალი ორთაბათუმის შემფუთავი ქარხნის მშენებლობის გეგმის შესრულება 35-40 პროცენტს არ აღემატება. „აჭარციტრუსხილდამზადების“ კანტორის შემფუთავ პავილიონებს დამზადების პირველ დღეებში 1.100 მუშა-ხელიდან მხოლოდ 70 ჰყავდა.

ციტრუსოვანთა ნაყოფის მასობრივ დამზადებას მოუმზადებელი ხვდებიან აგრეთვე ბუკნარის, მახინჯაურის, მახარაძის, მერიის, ლანჩხუთის, სუფსის და ჩოჩხათის პავილიონები, რომლებსაც აკლიათ მუშა-ხელი, ტრანსპორტი, არ დაუმთავრებიათ რემონტი და გადამმუშავებელი მანქანების დადგმა.

ახლა, როცა ციტრუსების მასობრივი კრეფა იწყება, ამ მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუწყნარებელია. საჭიროა საქართველოს სუბტროპიკული ზონის რაიონების პარტრაიკომებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა ახლავე, ერთხელ კიდევ შეამოწმონ ადგილებზე ციტრუსების კრეფისა და დამზადებისათვის მზადყოფნა, და ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ დამამზადებელ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული მოწინავე პავილიონებისა და მიმღები პუნქტების გამოცდილება.

საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ციტრუსოვანთა ნაყოფი იკრიფებოდეს დროულად, წესიერად, და ადგილობრივი ტრანსპორტის გამოყენებით დაუზიანებლად ჰბარდებოდეს სახელმწიფოს. დამამზადებელი ორგანიზაციები ვალდებული არიან მოაწყონ ციტრუსოვანთა მთელი მოსავლის მაღალხარისხოვნად გადამუშავება და დანიშნულებისამებრ შეუფერხებელი გაგზავნა. კოლმეურნეობათა გამგეობებმა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა უნდა გამოჰყონ სპეციალური მცველები და დააწესონ სისტემატური მეთვალყურეობა ციტრუსოვანთა ნაყოფის დატაცებისა და განიავების თავიდან ასაცილებლად.

ის დიდი საწარმოო ენტუზიაზმი, რაც ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილებამ მთელი საქართველოს მშრომელებში გამოიწვია, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ არსებულ ნაკლოვანებათა დაჩქარებით გამოსწორებისათვის და ციტრუსების კრეფისა და დამზადების გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ქვანახშირის ამოღების ოქტომბრის გეგმა გადამეტებით შესრულებულია

წინასაოქტომბრო სოციალისტურმა შეჯიბრებამ ახალი საწარმოო წარმატებები მოუტანა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს. ქვანახშირის ამოღება განუწყვეტლივ მატულობს. ოქტომბრის პროგრამა ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით გადამეტებით შესრულებულია. ქვანახშირის ამოღების თვიური გეგმა გადამეტებით შეასრულეს დონბასმა, კუზბასმა, მოსკოვის საგარეუბნო აუზმა, ყარაგანდამ და შუა აზიამ.

ცალკეულ კომბინატთა შეჯიბრებაში „სტალინუგოლმა“ გაუსწრო „კუზბასუგოლს“, „მოსკვოუგოლმა“ კი—„ვოროშილოვგრადუგოლს“. (საქდესი).

ტყვარჩელის მაღაროელთა დიდი წარმატება

აკარმარა, 2 ნოემბერი (საქდესი). „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მოწინავე უბნებმა ახალ-ახალ გამარჯვებას მიაღწიეს წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქვანახშირის ამოღების მხრივ მოწინავე № 4 უბანმა (უბნის უფროსი—ამხ. მილენინი) ოქტომბრის დავალება 114,4 პროცენტით შეასრულა.

№ 7 საგვირაბო უბანმა (უბნის უფროსი—ამხ. ლატარენკო) გვირაბის გაყვანის უმაგალითო ტემპები გვიჩვენა და გვირაბის გაყვანის თვიური დავალება შეასრულა 162 პროცენტით, ხოლო ქვანახშირის ამოღების თვიური დავალება — 136,5 პროცენტით. მთლიანად შახტმა ქვანახშირის ამოღების თვიური გეგმა შეასრულა 101,5 პროცენტით, ხოლო გვირაბის გაყვანის თვიური გეგმა —106,3 პროცენტით. „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტმა ქვანახშირის ამოღების ოქტომბრის გეგმა 100,3 პროცენტით შეასრულა.

105.7 პროცენტით

წითელწყარო 2 ნოემბერი („კომუნისტის“ კორ.). პატარა შირაქის ნავთის სარეწაოს მუშაკთა კოლექტივმა ოქტომბერში გააუმჯობესა მუშაობა. წინასაოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება გაანაღდა,—ნავთის ამოღების ოქტომბრის გეგმა 105,7 პროცენტით შეასრულა.

სარეწაოს კოლექტივი წარმატებით მუშაობს, რათა გამოასწოროს მესამე კვარტალის ჩამორჩენა და 5 დეკემბრისათვის შეასრულოს ნავთის ამოღების წლიური გეგმა.

ყალმუხეთის ასს რესპუბლიკის 20 წლისთავი

ა. წ. 2 ნოემბერს ყალმუხეთის ასს რესპუბლიკის 20 წლისთავის შესრულების გამო, რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მისალმება გაუგზავნა ყალმუხეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ მისალმება გაუგზავნა ყალმუხეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხელოვნების, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭათ საპატიო სახელწოდება:

რსფსრ დამსახურებული არტისტისა — ნ. ც. ერინჯენოვს,

რსფსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლისა — 5 მასწავლებელს,

რსფსრ დამსახურებული ექიმისა—მ. დ. კოლესნიკოვს (საქდესი).

აკადემიკოსი ა. თ. იოფე მიღებულია საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად

ლენინგრადი, 1 ნოემბერი (საქდესი). საკ. კ. პ. (ბ) ვიბორგის რაიკომის ბიურომ დღეს საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერი აკადემიკოსი ა. თ. იოფე.

საკ. კ. პ. (ბ) ვიბორგის რაიკომის მდივანმა ამხ. გუდკინმა მეცნიერს მოულოცა ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობის 35 წლის იუბილე და ლენინის ორდენით დაჯილდოება. აკადემიკოსმა ა. თ. იოფემ განაცხადა, რომ იგი მთელ თავის ძალ-ღონეს და ცოდნას მოახმარებს საბჭოთა მეცნიერების შემდგომ განვითარებას, ჩვენი სოციალისტური ქვეყნის სამეურნეო და სამხედრო ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირში

სახელოსნო სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ და კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვეტილება გამოიტანეს იმის შესახებ, რომ რესპუბლიკაში მოეწყოს 5 სახელოსნო სასწავლებელი და 4 საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლა. ამ სკოლებში 2.200 კაცი ისწავლის. ახალგაზრდობის გაწვევა სასწავლებლებსა და საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლებში 10 ნოემბერს დაიწყება.

წიგნის ბეჭდვის 500 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია

ლვოვში დამთავრდა წიგნის ბეჭდვის 500 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია. მოსმენილ იქნა 16 მოხსენება. ლვოვის უნივერსიტეტის პროფესორმა კრიპიაკევიჩმა წაიკითხა მოხსენება—„ივანე ფიდოროვი ლვოვში“. ამ მოხსენების მიხედვით გადაწყდა მოეწყოს ლვოვში ი. ვ. ფედოროვის მუზეუმი.

პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის პრემიები

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დააწესა პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამი ყოველწლიური პრემია საუკეთესო ნაშრომებისათვის აეროდინამიკის დარგში (პირველი პრემია—20 ათასი მანეთი, მეორე — 15 ათასი და მესამე — 10 ათასი მანეთი).

* * *

პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის ყოველწლიური პრემიების მიკუთვნებელი ჟიურის თავმჯდომარედ დამტკიცებულია აკადემიკოსი ს. ა. ჩაპლიგინი, მის მოადგილეებად — ცენტრალური აეროჰიდროდინამიკური ინსტიტუტის უფროსი, ავიაციის გენერალ-მაიორი ი. ფ. პეტროვი და აკადემიკოსი ნ. ე. კოჩინი. ჟიურიში შედიან აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის, სსრკ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის, სსრკ საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს და სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის ყოველწლიური პრემიების მიკუთვნებელი ჟიურის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ს. ა. ჩაპლიგინმა საქდესის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

— პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის პრემიები მაღალი შეფასება იქნება აეროდინამიკის დარგში დაწერილი სამეცნიერო-საკვლევო ნაშრომებისა. ეს ნაშრომები შეიძლება დაიწეროს ყოველ ენაზე. ნაშრომები უნდა გამოიგზავნოს ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის ცენტრალური აეროჰიდროდინამიკური ინსტიტუტის უფროსის სახელზე.

პროფ. ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის პრემიების მოსაპოვებლად ნაშრომთა წარმოდგენის ვადა წელს არის 15 ნოემბერი, ხოლო შემდგომ წლებში — არაუგვიანეს 18 აგვისტოსა. (საქდესი).

საინფორმაციო ცნობა

1940 წლის 1-2 ნოემბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი:

1. „საქართველოს სს რესპუბლიკის ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციის შესახებ.

2. საორგანიზაციო საკითხი.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ **კ. ნ. ჩარკვიანის** მოხსენება.

ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანის** მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ა. გ. ხუციშვილმა** (ქარელის რაიკომი), **ა. ს. ხუჯაძემ** (ხაშურის რაიკომი), **გ. ი. მიხანაშვილმა** (დუშეთის რაიკომი), **ვ. ა. ლოლაძემ** (გორის რაიკომი), **შ. ვ. კოჭლაძემ** (თეთრი წყაროს რაიკომი), **რ. ვ. ზაუტაშვილმა** (ყაზბეგის რაიკომი), **მ. დ. ბუჯიაშვილმა** (საქ. სსრ მიწსახკომი). **გ. ვ. კირვალიძემ** (ახალციხის რაიკომი), **გ. ი. არჯევანიძემ** (ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომი), **ა. გ. ჯიქიამ** (ხობის რაიკომი), **ა. ს. კეზერაშვილმა** (კასპის რაიკომი), **ნ. ვ. გაბუნიამ** (ფოთის საქალაქო კომიტეტი), **ს. გ. ხოშტარიამ** (საქ. სსრ მიწსახკომი) და **ვ. მ. ბაქრაძემ** (საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე).

ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანის** მოხსენების გამო პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლუცია.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლა ამხ. **მ. ი. ჯაში.**

შესანიშნავი ექსპონატები

სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმს გადაეცა შესანიშნავი ექსპონატები — საჩუქრები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა გამოუგზავნეს ამხანაგ სტალინს. მათ შორის მრავალი საჩუქარი ამხანაგ სტალინს მიართვეს მისი დაბადების 60-წლისთავზე. აქ თავმოყრილია ყოველივე საუკეთესო რამ, რაც კი ტალანტებით მდიდარმა ხალხურმა შემოქმედებამ შექმნა.

აი საწერი მოწყობილობა, ოსტატურად გაკეთებული კარელური არყის ხისაგან და სადაფის ინკრუსტაციებით შემკული. მასზე არის მეტყველი წარწერა: „სახელოვან სამოც წლისთავზე საყვარელ სტალინს კიროვის ოლქის მშრომელებისაგან“.

ერევნელმა მოსამსახურემ ა. ნ. აზატიანმა ამხანაგ სტალინს საჩუქრად მიართვა წიფლის ბუფეტი— თავისი გულმოდგინე შრომის ნაყოფი. ნატიფი მხატვრული ჩუქურთმა — 19 ეპიზოდი ხალხურ ეპოს „დავით სასუნელიდან“ — ამ ნამუშევარს ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნაწარმოებთა რიგში აყენებს.

ორიგინალურია საბჭოთა პოლარელების საჩუქარი. ლომთევზის ეშვზე გამოხატულია პოლარული სადგურების რუკა და პაპანინელთა ბანაკი. მხატვრული ჩუქურთმის ლომონოსოვის სახელობის არტელის (არხანგელსკის ოლქის სოფელი ლომონოსოვო) წევრებმა გამოუგზავნეს მამონტის ძვლისაგან გაკეთებული ჩიბუხი. ჩიბუხზე ოსტატურად გაკეთებულია უნატიფესი ნახატი საბჭოთა ტყისმჩეხავთა ყოფაცხოვრებიდან. საუცხოოა პალეხელთა მშვენიერი, უაღრესად ხალხური ხელოვნების ნიმუში—ზარდახშა, რომელზედაც გამოხატულია ეპიზოდები ჩაპაევის ცხოვრებიდან.

ყურადღებას იპყრობს ბროლის საწერი ხელსაწყო — კრემლის მინიატიურული კედელი კოშკებითურთ, რომლებსაც ხუთქიმიანი ვარსკვლავები აგვირგვინებენ. ეს არის ლენინის სახელობის ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა საჩუქარი. ქარხანა „კრასნი გიგანტის“ კოლექტივმა ბროლისაგან გააკეთა გასაშლელი მაგიდა. აშხაბადის სამხატვრო - საექსპერიმენტო სახელოსნოს მუშაკებმა მოქსოვეს ვეებერთელა, 20 კვადრატული მეტრიანი ხალიჩა. ხალიჩაზე ამოქარგულია პანო: „ამხანაგ სტალინის მისვლა პირველ ცხენოსან არმიაში“. ხავერდის ალბომი, რომელზედაც ამოქარგულია მოკავშირე რესპუბლიკათა ღერბები, გამოგზავნეს ვოლოგდის მემაქმანეებმა.

მრავალ საჩუქარს შორის ნახავთ უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთის ოლქების განთავისუფლებულ ხალხთა შრომისა და ხელოვნების ნაყოფს. კარპატის მთებიდან და პოლესიედან მათ გამოგზავნეს თავიანთი საჩუქრები ამაღელვებელი მინაწერებით უკრაინულ, ბელორუსულ, პოლონურ და ებრაულ ენაზე.

განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს საბჭოთა ბავშვების საჩუქრები, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ ჩვენი ქვეყნის მოზარდ თაობაში ტალანტების ჭეშმარიტად დაუშრეტელი წყაროა.

რევოლუციის მუზეუმში შემოვიდა აგრეთვე მრავალი დოკუმენტი-მისალმებანი ამხანაგ სტალინისადმი მისი დაბადების სამოცი წლისთავის გამო მუშებისა, კოლმეურნეებისა და ჯარის ნაწილებისაგან, ამონაწერი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 1939 წლის 22-დეკემბრის საერთო კრების ოქმიდან აკადემიის საპატიო წევრად ამხანაგ სტალინის არჩევის შესახებ და სხვა დოკუმენტები.

მიღებული ექსპონატებიდან ზოგიერთი ექსპონატი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავისათვის გამოფენილ იქნება სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმის № 1 ფილიალში. ასობით ექსპონატი განლაგებულ იქნება მუზეუმის ცენტრალურ შენობაში, სადაც ამ მიზნით გამოყოფილია სპეციალური დარბაზები. (საქდესი).

მეცნიერთა წინასაოქტომბრო შეჯიბრება

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გარდამავალი დროშა საქართველოს ფილიალს

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამი უდიდესი ფილიალი—საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფილიალები — ჩაებნენ მესამე სტალინური ხუთწლედის სოციალისტურ შეჯიბრებაში. მეცნიერებმა იკისრეს ვალდებულება გეგმის გადამეტებით შეესრულონ სახალხო მეურნეობისათვის მთელი რიგი ძვირფასი შრომები, შექმნან უმაღლესი სკოლისათვის საჭირო სახელმძღვანელოები და სასწავლო წიგნები ნაციონალურ ენებზე, აწარმოონ სამეცნიერო პროპაგანდა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, დანერგონ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები.

შეჯიბრების არბიტრმა—მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებისა და ბაზების კომიტეტმა — განიხილა შეჯიბრების პირველი შედეგები. სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებანი შეამოწმა სპეციალურმა კომისიამ აკადემიკოსების ი. ი. მეშჩანინოვის, ლ. ს. შტერნის, ი. ვ. გოტიეს, მეცნიერებათა აკადემიის წევრ - კორესპონდენტების ა. ვ. შესტაკოვისა და დ. ლ. ტალმუდის შემადგენლობით.

უკანასკნელ წელს შეჯიბრების მონაწილე ფილიალებში დაახლოებით 50 ახალგაზრდა მეცნიერმა დაიცვა დისერტაცია მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის ხარისხზე. მეცნიერმა მუშაკებმა 500 მოხსენება და ლექცია წაიკითხეს ფაბრიკებსა და ქარხნებში, წითელარმიელთა ნაწილებში, კოლმეურნეობებში, სკოლებში.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს მეცნიერებმა, რომლებმაც მეცნიერება შესანიშნავი ნაშრომებით გაამდიდრეს. შექმნილია რესპუბლიკის ისტორიის სახელმძღვანელო უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. არქეოლოგიურმა გათხრებმა, რაც აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით სწარმოებს, ძვირფასი სამეცნიერო შედეგები მოგვცა. ახლა ახლებურად შუქდება საქართველოს შორეული წარსული. ბოტანიკური ბაღის კოლექტივმა მიიღო ახალი გიბრიდები — ხორბლის მრავალწლოვანი ფორმები. ქიმიკოსებმა შეიმუშავეს მარგანეცის მადნის ნარჩენების გამოყენების მეთოდები.

მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალმა ვადამდე მოამზადა კაპიტალური შრომები — აზერბაიჯანულ — რუსული და რუსულ - აზერბაიჯანული ლექსიკონები. დამთავრებულია აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის „ფიზიკური გეოგრაფია“ და შედგენილია მისი ეკონომიური რუკა. დიდ სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობას წარმოადგენს აზერბაიჯანის ნავთის საბადოების გეოლოგიის დარგში შესრულებული შრომები.

სომხეთის მეცნიერებმა მოამზადეს მთელი რიგი მეცნიერულ-პოპულარული შრომები. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კარტოფილის საზაფხულო დარგვის (აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მეთოდით) შესახებ დამთავრებულ შრომებს. წლის განმავლობაში ფილიალმა 40-ზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნა.

მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებისა და ბაზების კომიტეტმა აღნიშნა, რომ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ფილიალმა, რომელსაც აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი მეთაურობს. გადაწყდა გადაეცეს ამ ფილიალს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშა.

კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მეცნიერებათა აკადემიის ყველა ფილიალს მიჰბაძონ მეცნიერთა მოწინავე კოლექტივების მაგალითს და ჩაებან შეჯიბრებაში. (საქდესი).

სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნის ახალი წესი

საუბარი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ს. ვ. კაფტანოვთან

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ამა წლის 2 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, გუშინდელი დღიდან ძალაში შევიდა სტუდენტთათვის სტიპენდიის დანიშვნის ახალი წესი. როგორც ვიცით, სტიპენდია ენიშნება იმ სტუდენტს, რომელმაც საგაზაფხულო საგამოცდო სესიის დროს ნიშანი „ფრიადი“ სულ ცოტა ორი მესამედი მიიღო, ხოლო დანარჩენი ნიშნები „კარგზე“ ნაკლები არა ჰქონდა, ე. ი. იმას, ვინც სამი გამოცდის დროს მიიღო ორი „ფრიადი“ და ერთი „კარგი“, ოთხი გამოცდის დროს — სამი „ფრიადი“ და ერთი „კარგი“; ხუთი გამოცდის დროს — ოთხი „ფრიადი“ და ერთი „კარგი“; ექვსი გამოცდის დროს— ოთხი „ფრიადი“ და ორი „კარგი“, შვიდი გამოცდის დროს ხუთი „ფრიადი“ და ორი „კარგი“.

პირველი კურსის სტუდენტთაგან სტიპენდია ენიშნებათ საშუალო სკოლის ფრიადოსნებს, რომელნიც უნივერსიტეტში უგამოცდოდ არიან ჩარიცხულნი, ან იმათ, ვინც მისაღები გამოცდების დროს მიიღო ნიშანი „ფრიადი“ სულ ცოტა ორი მესამედი, დანარჩენი კი — „კარგი“. ამა წლის მომავალი საგამოცდო სესია სტიპენდიის მიღების საშუალებას აძლევს იმ სტუდენტს, რომელიც ჩინებულ წარმატებას გამოიჩენს. სტიპენდია 1941 წლის 1 იანვრამდე ენახებათ სტიპენდიანტ სტუდენტებს, რომელნიც სადიპლომო პროექტს იცავენ ან სახელმწიფო გამოცდებს აბარებენ.

ყველა პირობებია შექმნილი სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის გასაძლიერებლად. ზოგიერთ სტუდენტს შეუძლია სწავლა პრაქტიკულ მუშაობას შეუხამოს. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში მეცადინეობა ორ ცვლად იწარმოება, დილას და საღამოს. სტუდენტებს ნება ეძლევათ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მეცადინეობის ერთ მესამედს თავისუფლად დაესწრონ იმ პირობით, რომ ყველა პრაქტიკული სამუშაო აუცილებლად შეასრულონ და ყველა გამოცდა დაწესებულ ვადაზე ჩააბარონ.

ახალი წესი, რომლის მიხედვითაც სტუდენტს სტიპენდია ჩინებული წარმატებისათვის ენიშნება, აუცილებლად გააუმჯობესებს უმაღლესი განათლების ხარისხს, სტიმულს მისცემს წარმატების ზრდას. მაგრამ, როგორც ჩვენს მიერ მოწყობილმა შემოწმებამ დაგვანახვა, უმაღლეს სასწავლებელთა ყველა დირექტორი როდი უზრუნველჰყოფს უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის იმ მითითებათა სწორ გატარებას, რომლებიც სტიპენდიის დანიშვნის წესის შეცვლას შეეხება. ცალკეულ უმაღლეს სასწავლებლებში უხეშად არღვევენ ამ წესს. აქა-იქ ხელოვნურად უწევდნენ ნიშანს იმ დისციპლინების ხელმეორედ ჩაბარების საშუალებით, რომლებშიც სტუდენტებმა საგაზაფხულო სესიის დროს საშუალო ანდა არადამაკმაყოფილებელი ნიშანიც კი მიიღეს.

ამჟამად ახალი წესის შემოღებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც სტუდენტს სტიპენდია გამოცდის შედეგების მიხედვით ენიშნება, განსაკუთრებით დიდდება უმაღლეს სასწავლებლების პროფესორებისა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობა სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისწორისათვის. პროფესორებმა და მასწავლებლებმა იმ ცოდნის სრული შესაბამისობით უნდა დაუწერონ სტუდენტს ნიშანი, რომელსაც იგი გამოცდის დროს გამოიჩენს.

უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებმა, სტუდენტთა ორგანიზაციებმა, უმაღლესი სკოლის მუშაობის ახალ პირობებში, უმაღლესი განათლებისა და სტუდენტთა პოლიტიკური აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებას უნდა მიაღწიონ, რათა გამოუშვან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელნიც მზად იქნებიან მთელი თავიანთი ძალ-ღონე და ცოდნა მოანდომონ ჩვენს დიად სამშობლოს. (საქდესი).

საბჭოთა ესტონეთის პირველი წარმატებანი

კაპიტალისტური უღლისაგან განთავისუფლებული ესტონელი ხალხი პირველად იდღესასწაულებს თავისუფლად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს. ამ დღესასწაულს იგი აღნიშნავს პირველი მრავალი გამარჯვებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზე.

ბურჟუაზიული ესტონეთის მრეწველობა კატასტროფულ მდგომარეობაში იყო. ფაბრიკა - ქარხნები ნახევარი დატვირთვით მუშაობდნენ, ბევრი კი სრულიად უქმად იდგა. მუშათა მასობრივი დათხოვნა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მრავალი ათიათასი უმუშევარი მათხოვრულად ცხოვრობდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე საფაბრიკო და საქარხნო კორპუსებში მუშაობა გაჩაღდა. დაჟანგულ ჩარხებთან ხალხი გაჩნდა, დაიწყო მოწყობილობის რემონტი, საწარმოები ზედიზედ ამუშავდნენ. ამუშავდა ტალინის ასანთის ფაბრიკა, რომელიც რვა წლის განმავლობაში უქმად იდგა. მალე ამუშავდება დიდი ქარხანა „ძრავი“ და მრავალი სხვა საწარმო. მარტო 1 სექტემბრამდე საბჭოთა ხელისუფლებამ სამუშაო მისცა სულ ცოტა 18.000 უმუშევარს. სექტემბერსა და ოქტომბერში სამუშაოზე ახალი მუშების მიღება უფრო ძლიერი ტემპით გრძელდებოდა. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ ნარვის კრენჰოლმის მანუფაქტურა. 1940 წლის 21 ივნისამდე აქ 1.800 მუშა მუშაობდა, ოქტომბრის დამლევს კი 3.769 კაცი მუშაობს. სექტემბერში ბალტიის ძაფსართავ ფაბრიკაში მიღებულ იქნა 300 მუშა, ფაბრიკა „ლუთერში“ — 160 კაცი და სხვ. ქარხნები და ფაბრიკები შეუფერხებლად მუშაობენ, ბევრი მათგანი ორ ცვლად მუშაობს. გადიდდა პროდუქციის გამომუშავება, რასაც დიდად უწყობს ხელს ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავს მუშათა კლასთან ერთად სიხარულით დღესასწაულობს ესტონეთის მშრომელი გლეხობა. ამჟამად რესპუბლიკაში მიწის რეფორმა ხორციელდება. სანამ პლუტოკრატიული მთავრობა დაემხობოდა, მანამდე 65 პროცენტამდე მიწა მემამულეთა და კულაკთა ხელში იყო. 20 ოქტომბრისათვის არსებული წინასწარი ცნობებით, უმიწაწყლო და მცირემიწიანმა გლეხებმა უკვე 260 ათასზე მეტი ჰექტარი მიწა მიიღეს. ესტონეთის სსრ სახკომსაბჭოსა და ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გლეხებს, რომლებსაც მიწა გამოეყოთ, გრძელვადიანი სესხი მიეცათ 7,2 მილიონი კრონის რაოდენობით. ეს კრედიტი გლეხებს ეძლევათ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და საქონლის შესაძენად, საცხოვრებელი და სამეურნეო სადგომების ასაგებად.

ესტონეთის სოფლებში ჯერ არასოდეს არა ყოფილა ისეთი სიხარული, როგორიც ამ დღეებში სუფევს. ეს გასაგებიც არის. წინათ ესტონელ გლეხს იმას ვერავინ ვერ მისცემდა, რაც მოკლე ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა.

მრავალ სამეურნეო გამარჯვებასთან ერთად, ახალგაზრდა საბჭოთა ესტონეთის რესპუბლიკას არაერთი კულტურული მონაპოვარი აქვს. დაწყებითი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი, შარშანდელთან შედარებით, თითქმის 11 ათასით გადიდდა. ტარტუს უნივერსიტეტისა და ტალინის ტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა რიცხვი 350-ზე მეტი კაცით გაიზარდა.

რეორგანიზებულია და დაარსდა ბევრი სასწავლებელი. ტალინის სახელოსნო-სამხატვრო სკოლა იან კოორტის სახელობის გამოყენებითი ხელოვნების უმაღლეს სკოლად გადაიქცა. ტარტუს სამხატვრო სკოლა „პალასი“ გადაკეთდა კონრად მიაგის სახელობის უმაღლეს სამხატვრო სკოლად, ტარტუს კერძო მუსიკალური სკოლა—საშუალო მუსიკალურ სკოლად. ტალინში დაარსდა საღამოს ტექნიკუმი და უცხო ენათა სკოლა, ქალაქ ვალგასა და ნარვაში ახალი დაწყებითი მუსიკალური სკოლები გაიხსნა. მოეწყო მუშა-მოსამსახურეთა ზოგადი განათლების კურსებისა და საწარმოო კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა კურსებისა და წრეების ქსელი. მშრომელები ეწაფებიან ცოდნას, რომლის გზაც წინათ დახშული ჰქონდათ.

ეგებებიან რა დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში ოქტომბრის XXIII წლისთავს, საბჭოთა ესტონეთის მშრომელები მხურვალე მადლობას უძღვნიან თავის განმათავისუფლებელს — სახელოვან წითელ არმიას, სოციალისტური სამშობლოს საზღვრების ერთგულ დამცველს. ჩვენი წმინდათა-წმინდა ამოცანაა — განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა, არცერთი წუთით არ დაგვავიწყდეს ამხანაგ სტალინის მითითება, რომ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვიმყოფებით და ჩვენი ხალხი მუდმივი მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში უნდა ვიყოლიოთ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავისათვის მზადებამ უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა გამოიწვია მთელს რესპუბლიკაში და მრავალი შესანიშნავი მიღწევა მოგვცა სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში.

ი. ლაურისტინი,
ესტონეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე.

ტალინი, 1 ნოემბერი (საქდესი).

ციტრუსოვანთა 418.000 ცალი ნაყოფი

მახარაძე, („კომუნისტის“ კორ.). რაიონმა წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 41 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი. ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს ციტრუსოვანთა შერჩევითი კრეფა. 1 ნოემბრისათვის მოკრეფილი იყო 418.000 ცალი ნაყოფი.

მოკრეფილი ნაყოფიდან 209.000 ცალი ჩაბარებულია სოფ. ნატანების ბერიას სახელობის, 171.000 ცალი სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის და 38.000 ცალი სოფ. მერიის და სოფ. კონჭკათის კოლმეურნეობებიდან.

დამზადებული ნაყოფიდან 29 ოქტომბერს მოსკოვის მშრომელებს გაეგზავნათ ერთი ვაგონი. ციტრუსოვანთა ნაყოფი გაეგზავნა აგრეთვე თბილისის მშრომელებს.

მასობრივი კრეფა 8-10 ნოემბრიდან გაიშლება.

პროფორგანოების ანგარიშგება-არჩევნები

გადაჭრით გავაუმჯობესოთ ადგილკომის მუშაობა

(თბილისის საელექტრომავლო დეპო)

პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს X პლენუმის დადგენილების საფუძველზე პროფკავშირული მუშაობის გარდაქმნის შედეგად ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის თბილისის საელექტრომავლო დეპოს ადგილკომის მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამას ხელი შეუწყო პროფკავშირულ მუშაობაში კავშირის წევრთა აქტივის ფართოდ მიზიდვამ.

ამჟამად დეპოში ოთხი კომისია მუშაობს: ხელფასის, საბინაო-საყოფაცხოვრებო, შრომის დაცვისა და კულტურულ - მასობრივი. კომისიების მუშაობაში 130-ზე მეტი აქტივისტი მონაწილეობს. კომისიების გარშემო შექმნილია ფართო პროფკავშირული აქტივი.

ხელფასის კომისია ხელმძღვანელობს მის მიერ შექმნილ ოპერატიულ ჯგუფებს, რომლებშიაც 40-45 კაცი ითვლება. ხელფასის კომისიამ (თავმჯდომარე ამხ. იაშვილი) შეამოწმა დეპოში შემოღებული ახალი ნორმებისა და შეფასებების სისწორე. ბევრ შემთხვევაში კომისიის წევრებმა გამოავლინეს შემცირებული შეფასებები. ეს საკითხი განხილული იყო საწარმოო თათბირზე. შეფასებებში შემჩნეული არასიზუსტე ახლა აღმოფხვრილია.

დიდი მუშაობა გაშალა საბინაო - საყოფაცხოვრებო კომისიამ. აქტივისტებმა ამხ. ქასრელიშვილმა და ბრატჩიკოვმა შეამოწმეს დეპოს ზამთრისათვის მზადყოფნა, ელექტრომავლები, სასამსახურო შენობები, საამქროები, საერთო საცხოვრებლები, სასადილო, ბუფეტი, რის მიხედვითაც ადმინისტრაციის წინადადება მიეცა ჩაეტარებინა საერთო საცხოვრებლის მიმდინარე რემონტი, შეეკეთებინა დეპოს მთავარი კორპუსის სახურავი და სხვ. ეს წინადადებებიც სრულდება.

კულტკომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს აქტივისტი ამხ. ხუციევა. მისი დახმარებით „საქკინოპროკატთან“ დაიდო ხელშეკრულება მოძრავი კინოთი დეპოს მომსახურებაზე. ახლა კვირაში ერთხელ მიაქვთ იქ მოძრავი კინოაპარატი და უჩვენებენ კინოსურათს. კვირაობით კი კომისიის წევრები აწყობენ მუშების კოლექტიურ წასვლას თეატრებში, კინოებში, ლექციებზე, მოხსენებებზე.

აქტივის დახმარებით დეპოში გაუმჯობესდა სოცშეჯიბრების ხელშეკრულებათა შემოწმება. ყველა მუშას ურთიერთშორის დადებული აქვს სოცშეჯიბრების ინდივიდუალური ხელშეკრულება, რომელთაც პროფორგები ყოველდღიურად ამოწმებენ, შედეგებს მუშებს აცნობენ დღის ბოლოს. საამქროებსა და საელმავლო ბრიგადებს შორის სოცშეჯიბრების შემოწმება ხდება ყოველთვიურად.

საწევრო გადასახადი იკრიფება თავის დროზე და მთლიანად. შესამჩნევად გაიზარდა პროფორგის როლი საამქროებში. დამხმარე საამქროს პროფორგმა ამხ. სმერდოვმა, საამქროს ოსტატ ამხ. მერცთან ერთად მიაღწია ყველა მუშის სოცშეჯიბრებაში ჩაბმას, საამქროს მუშების უმეტესობა სტახანოველები არიან. საამქრო ყოველთვიურად აჭარბებს გეგმას. კარგად მუშაობს ელმავალ 22-156-ის პროფორგი ამხ. ნატალია ბოგუმილიც. ის ბრიგადებში ხშირად ატარებს საწარმოო თათბირებს. ამ ელექტრომავლის ბრიგადა გარდამავალი წითელი დროშის კანდიდატია.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, არ შეიძლება ვთქვათ, რომ თბილისის საელექტრომავლო დეპოს პროფორგანიზაციამ სავსებით შესძლო გარდაექმნა თავისი მუშაობა საკავშირო პროფსაბჭოს X პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე. გასაკეთებელი ამ მხრივ უსათუოდ ბევრია.

დეპოს პროფორგანიზაციას ჯერ კიდევ ცოტა ნაკლი როდი ახასიათებს. უწინარეს ყოვლისა იგი ქალთა შორის სუსტ მუშაობაში მდგომარეობს. ქალთა აქტივისადმი ხელმძღვანელობა სუსტია, ქალები სუსტად არიან ჩაბმული პროფკავშირულ მუშაობაში.

ამასთან, როგორც ნაკლი, აღსანიშნავია აგრეთვე ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობა. სუსტია ანტირელიგიური პროპაგანდა.

ეს ნაკლოვანებები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

ან. ზურაშვილი

მეტი ყურადღება მეცხენეობას

საქართველოს რესპუბლიკას, სადაც წარსულში მეცხენეობა ჩამორჩენილი იყო, ამჟამად ამ მხრივ ერთერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე ცხენების სულადობა საქართველოში ომამდელ დონესთან შედარებით 39,1 პროცენტით გაიზარდა.

საქართველოს მეცხენეობის სამომშენებლო ქარხნები ამჟამად მოწინავე რიგებში დგანან. ჯიშიანი მწარმოებლებით ისინი არა მარტო საქართველოს, არამედ ნაწილობრივ სხვა რესპუბლიკებს და ოლქებსაც აკმაყოფილებენ.

მუხროვანის წმინდასისხლიანმა საჯიშე ქარხანამ გამოუშვა ისეთი საუკეთესო პროდუქცია, როგორიცაა „ბაღდათი“—ცნობილი საკავშირო ჩემპიონად, „შავდული“, „პირნათლი“, „სიკო“, „აზარფეშა“ და სხვ.

ყვარლის სამომშენებლო ქარხანა ამჟამად უშვებს და კოლმეურნეობებს აწვდის საუკეთესო ხარისხის ჯორებს.

საქართველოს მეცხენეობას ბევრი წარჩინებული მოწინავე ადამიანი ჰყავს, როგორც არიან ორდენოსანი ამხ. შავლაშვილი—სიღნაღის რაიონის „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნეობის მეცხენეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმის გამგე, ორდენოსანი ამხ. დოროხოვი—ლაგოდეხის რაიონის „წითელი ოქტომბრის“ მეცხენეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმის გამგე, სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მედალებით დაჯილდოებულნი ამხ. კოპლამაზაშვილი, ბორჩალოს რაიონის „ლენინაკანის“ მეცხენეობის ფერმის მეჯინიბე ამხ. კუშიანი და სხვები.

სახელმწიფო ვალდებულების შესრულების საქმეში განსაკუთრებით წინ მიდის ბოგდანოვკის რაიონი, რომელიც ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ცხენების ჩაბარების გეგმას.

წელს ნოემბერში თბილისში იწყობა საკოლმეურნეო მეცხენეობის რესპუბლიკური გამოფენა. ამ გამოფენამ უნდა გამოიწვიოს სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლა კოლმეურნეობებში, ცალკე ფერმებში და კოლმეურნეებს შორის. ამიტომ ყველა რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, პირველ რიგში კი სამიწათმოქმედო ორგანოებმა გამოფენისათვის მზადებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

მიუხედავად მიღწევებისა, ცალკეული რაიონები ჯერ კიდევ ვერ იჩენენ სათანადო მზრუნველობას საკოლმეურნეო მეცხენეობის განვითარების საქმისადმი. კერძოდ, ყარაიის, საგარეჯოს, ბორჩალოს, ხობის და ზუგდიდის რაიონებში ცხენებს წესიერად არ უვლიან, მათ დაუდევრად ამუშავებენ და არც ფერმების საჭირბოროტო საკითხების მოწესრიგებაზე ზრუნავენ.

ცხენების ჯიშების გაუმჯობესების საქმეში გადამწყვეტი როლი ენიჭება ჯიშიანი ულაყების წესიერად გამოყენებას და მოვლა-პატრონობას, მაგრამ ამას ყველგან არ უწევენ ანგარიშს. მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფელ ჭოტორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოუვლელობით წყობილებიდან გამოვიდა ჯიშიანი ულაყი - მწარმოებელი „ელვა“. რით უნდა აიხსნას, თუ არ აშკარა უპასუხისმგებლობით, ის ფაქტი, რომ წყალტუბოს რაიონმა წელს ცხენების დაგრილების გეგმა მხოლოდ 30 პროცენტით შეასრულა, ბაღდათის რაიონმა 57.5-ით, ხაშურის რაიონმა — 60-ით.

არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან ცხენების გამოზამთრებისათვის ცხაკაიის, აბაშის, ზუგდიდისა და სხვ. რაიონებში. ცხენები უზრუნველყოფილი არ არიან სადგომებით, არა ჰყავთ შერჩეული მეჯინიბეთა სათანადო კადრი, არ არის გამოყოფილი სათადარიგო საკვები და სხვ.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი მეცხენეობის საქმეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცხენის მოვლის, კვების და შენახვის პირობების საფუძვლიან გაუმჯობესებას, დაგრილების კამპანიის ორგანიზებულად ჩატარებას, ჯიშიანი ულაყების სწორად გამოყენებას.

არსებობს პარტიისა და მთავრობის მითითება იმის შესახებ, რომ ცხენი დაკვიციანებიდან 6 თვის განმავლობაში განთავისუფლდეს მძიმე სამუშაოდან, ხოლო დაკვიცებამდე ორი თვით ადრე და 15 დღით კვიცის მოგების შემდეგ სრულიად განთავისუფლდეს ყოველგვარი სამუშაოსაგან. ეს მითითება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცხენეობის შემდგომი განვითარებისათვის, მტკიცედ უნდა შესრულდეს.

კ. ჯაფარიძე

საქართველოს მიწსახკომის მეცხენეობის სამმართველოს უფროსი.

მდგომარეობა საფრანგეთში

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, პეტენმა გამოსცა დეკრეტი საფრანგეთის კოლონიების გუბერნატორებთან არსებული ყველა საბჭოს დათხოვნისა და გუბერნატორთა ძალა-უფლების საგრძნობლად გაძლიერების შესახებ. დეკრეტი მიმართულია გენერალ დე გოლის მომხრეთა წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა მინისტრმა პეირუტონმა დაითხოვა პოლიციის 64 თანამშრომელი, დროებით გადააყენა თანამდებობიდან 101 კაცი და თანამდებობით ჩამოაქვეითა 112 კაცი.

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი ზამთრობით სურსათ-სანოვაგის გაყიდვის დანორმვის შესახებ. შექმნილია სპეციალური კომიტეტი, რომელმაც კონტროლი უნდა გაუწიოს სურსათ-სანოვაგის განაწილებას და გამონახოს საკვები პროდუქტების შემცვლელნი. გამოცემულია ბრძანება ყველა ექიმის რეგისტრაციის შესახებ. ეს ღონისძიება მიღებულია ეპიდემიების გავრცელების შემთხვევისათვის, აგრეთვე ებრაელი ექიმების სამუშაოდან განსათავისუფლებლად. სწავლობენ საკითხს, თუ რამდენად შესაძლებელია სურსათ-სანოვაგის შემცვლელებად გამოყენებულ იქნას რკო, ჭინჭარი, ფესვები და სხვ.

ინდოეთის მეფის მოადგილე ლინლითგოუს განუახლეს რწმუნებები

ლონდონი, 1 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის მეფემ ინდოეთის მეფის მოადგილეს და გენერალ-გუბერნატორს ლინლითგოუს რწმუნებები განუახლა შემდეგი წლისათვის, დაწყებული 1941 წლის აპრილიდან.

უნგრეთის მთავრობის სამეურნეო ღონისძიებანი

ბუდაპეშტი, 1 ნოემბერი (საკდესი). უნგრეთის მთავრობამ განკარგულება გამოსცა აღრიცხულ იქნას ქონის მარაგი, რომელიც 50 კილოგრამს აღემატება, აგრეთვე ღორის სულადობა იმ მეურნეობებში, რომელთაც ხუთ სულზე მეტი ღორი ჰყავთ. მფლობელებს არ შეუძლიათ თავისუფლად გამოიყენონ აღრიცხული ღორები და ქონის მარაგი. აღრიცხვის ჩატარებისას არასწორი ცნობების მიწოდებისათვის დამნაშავენი დაპატიმრებული იქნებიან და ფულადი ჯარიმა გადაჰხდებათ. აღრიცხული უნდა იქნას აგრეთვე შვრიის მთელი ნაჭარბი, რომელიც, როგორც აღნიშნულია განკარგულებაში, თუ საჭიროება მოითხოვს, გამოყენებული იქნება სახელმწიფოს მოთხოვნილებათათვის.

ნაციონალური ბანკი [illegible] კერძო მფლობელთა ოქროს მარაგისა და ოქროს სამკაულების აღრიცხვას. მათ მიცემული აქვთ აგრეთვე წინადადება აცნობონ ბანკს რამდენი ოქროს ფული მოეპოვებათ. ნაციონალური ბანკი ოქროს ნაწარმისა და ოქროს შესყიდვას შეუდგება.

უნგრეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, მთავრობა შემოიღებს 10, 2 და 1 ფილერის ღირებულების ფოლადის ფულს. ეს ღონისძიება გამოწვეულია სპილენძისა და ნიკელის ნაკლებობით. გამოსაშვები ფოლადის ფულის რაოდენობა ფინანსთა სამინისტრომ 60 მილიონი პენგით განსაზღვრა.

ჯავარხარლალ ნერუს დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ დააპატიმრეს ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ცნობილი ლიდერი ჯავარხარლალ ნერუ. იგი შეიპყრეს იმ დროს, როცა ვარდუში მიდიოდა განდისთან შეხვედრის შემდეგ.

უკანასკნელი ცნობები

ომი საბერძნეთსა და იტალიას შორის

ათენი, 2 ნოემბერი. გაზეთი „ვრადინი“ იუწყება, რომ ათენში გაიხსნა ხუთი ახალი ჰოსპიტალი.

იუსტიციის სამინისტროს ბრძანებით, სამხედრო სასამართლოებს უფლება მიენიჭათ ქალაქის დაბნელების დროს სათანადო წესების დარღვევისათვის მიმართონ გადამწყვეტ ზომებს, თვით დახვრეტასაც კი.

გუშინ, დილით, იტალიის ხუთმა თვითმფრინავმა ყუმბარა დაუშინა მალონის სამხედრო ობიექტებს. ათენზე თავდასხმა საზენიტო ქვემეხებმა მოიგერიეს.

საბერძნეთის პრემიერმა მეტაქსასმა ფრონტის სასარგებლოდ შემოწირულებათა შესაგროვებლად შექმნა ორგანიზაცია. აგროვებენ ფულს, საკვებ პროდუქტებს, პაპიროსსა და სხვადასხვა ტანისამოსს.

დაახლოებით 1.300 კაცი, რომლებსაც სამედიცინო და სავეტერინარო განათლება აქვთ და რომლებიც 1916-1938 წლების გაწვევის თადარიგში ირიცხებიან, გაწვეულია არმიაში და მათ პოდპორუჩიკის წოდება მიენიჭათ.

ნიუ-იორკი, 2 ნოემბერი. იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება: „ათენში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს სალონიკს 6-ჯერ, კორფუს კუნძულს — 5-ჯერ, ათენის ნავსადგურსა და აეროდრომს, კასტორიუს, მეგარას, კრეტას, იანინუს, მეტსონოს, ფებეს, რეფინონს და ლარისუს — თვითეულს ორ-ორჯერ. სანიკში მოკლულია 35 და დაჭრილია 60 კაცი, კორფუს კუნძულზე მოკლულია 10 და დაჭრილია 27 კაცი. კასტორიაში ზარალი უმნიშვნელოა.

საბერძნეთის თვითმფრინავებმა წარმატებით უშენენ ყუმბარას ტირანუს, სანტი კუარანტას და დურაცოს.

დურაცოში 9 ტრანსპორტიდან გადმოსხეს იტალიის ჯარი, რომელიც კორჩაში გაემგზავრა.

საბერძნეთის რადიომ გამოაცხადა, რომ საბერძნეთის 3 თვითმფრინავმა 3 ტონა ყუმბარა დააყარა კორიცუს (კორჩას). დაზიანებულია სამხედრო ობიექტები, მათ შორის იტალიის ორი აეროდრომი. საბერძნეთის თვითმფრინავებმა ტყვიამფრქვევი დაუშინეს და გაჰფანტეს იტალიელ მოტოციკლისტთა კოლონა. ბერძნებმა პირდაპირი იერიშით აიღეს პისოდერნის მთა, რომელიც გაბატონებულია ფლორანასა და კორიცის (კორჩას) შორის მდებარე მთავარ გზაზე.

ბერძნები გაფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ იტალიელებს იანინიდან 21 მილის მანძილზე. იტალიელები, რომლებიც იანინისაკან მიიწევენ, 20 მილით შეიჭრნენ საბერძნეთის ტერიტორიაზე. ჩრდილოეთ სექტორში მათ ერთნახევარი მილით წაიწიეს ფლორინის მიმართულებით, მაგრამ ბერძნებმა შეაჩერეს ეს შეტევა სოფელ ბესვინისთან.

სალონიკში ჩამოაგდეს იტალიის რამდენიმე თვითმფრინავი, რომლებიც ყუმბარას უშენდნენ ნავსადგურს, საწყობებს, საცხოვრებელ სახლებსა და სასტუმროს.

საბერძნეთის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ საბერძნეთის 5 ქალაქზე იტალიელთა თავდასხმის დროს მოკლული და დაჭრილია თითქმის 250 კაცი.

საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო უარჰყოფს

ათენი, 2 ნოემბერი (საკდესი). საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო უარჰყოფს იტალიის რადიოს ცნობას, რომ იტალიის საზღვაო ხელისუფლებამ ხელთ იგდო საბერძნეთის გემი „ატიკი“, რომელსაც მიჰქონდა 2 ათასი ტონა მადანი, რაც სამხედრო საჭურველის დასამზადებლად იყო განკუთვნილი.

სააგენტო ამტკიცებს, რომ გემი „ატიკი“ უვნებლადაა და საბერძნეთის წყლებში იმყოფება.

იტალიის ავიაციის მოქმედება საბერძნეთში

რომი, 2 ნოემბერი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ, დილით, იტალიის ავიაციამ 60 ტონაზე მეტი ყუმბარა დააყარა სამხედრო და საზღვაო ობიექტებს სალონიკში. ნავსადგურში დაზიანებულია რამდენიმე სამხედრო გემი და ერთი სავაჭრო გემი. გამაგრებულ ზონაში ბომბარდირებულ იქნა საწყობები, საწვავი ძალის რეზერვუარები და ყაზარმები. მრავალ ადგილას ხანძარი გაჩნდა. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი. იტალიის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

ლონდონი, 2 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ იტალიის ავიაციის თავდასხმა ყველაზე სერიოზული იყო სალონიკსა და კორფუზე. სალონიკში მოკლულია 40 კაცი და 20 ადგილას ხანძარი გაჩნდა. კორფუში მოკლულია 5 და დაჭრილია 26 კაცი. კომუნიკაციების მნიშვნელოვან ცენტრში, ლარისში, მოკლულია 5 და დაჭრილია 3 კაცი.

ლარისზე გუშინდელი თავდასხმის დროს მოკლულია 14 და დაჭრილია 10 კაცი. კრეტის კუნძულზე მოკლულია 6 და დაჭრილია 25 კაცი.

ჰაერიდან თავს დაესხნენ აგრეთვე კორინთს, თებეს, მეცოვონს და რეტიმნის (კრეტის კუნძულზე). მსხვერპლი არ ყოფილა.

იტალიის ცნობა

რომი, 2 ნოემბერი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება: „საბერძნეთში ჩვენი ჯარი მდინარე კალამასის ზეობაში მიიწევს იანინის მიმართულებით და პინდის მთებისაკენ. გუშინ ჩვენმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა სალონიკის სამხედრო არსენალს და ამ ნავსადგურში მყოფ გემებს, აგრეთვე სამხედრო ობიექტებს კორფუს კუნძულზე. მოხდა ძლიერი აფეთქება და რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა. ამას გარდა, ჩვენი ავიაცია წარმატებით დაესხა თავს სამხედრო ბანაკს სკიპეროში, ლარისის ვაგზალს, სადაც დაზიანებულ იქნა რკინიგზის შემადგენლობა, კორინთის არხს და კორინთ-ათენის რკინიგზას, რომელზედაც მოძრაობა რამდენიმე ადგილას შესწყდა. იტალიის თვითმფრინავები წარმატებით დაესხნენ თავს სალონიკს. მტრის ავიაგამანადგურებლებთან ბრძოლის დროს, როგორც სჩანს, ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

ეგეოსის ზღვაში ჩვენმა საჰაერო შენაერთებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები და ტყვიამფრქვევი ჯარს, რომელიც კრეტას კუნძულზე გადმოდიოდა. დაზიანებულ იქნა გემი, სანავსადგურო ნაგებობანი და საომარი მასალები. ყველა ჩვენი თვითმფრინავი უკანვე დაბრუნდა“.

რეიტერის სააგენტო საბერძნეთში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ

ლონდონი, 2 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ საბერძნეთის ქვეითმა ჯარმა მნიშვნელოვანი მთა დაიკავა საბერძნეთ-ალბანეთის საზღვარზე. დაკავებულია რაიონი, რომელიც რამდენიმე სოფლისაგან შესდგება.

როგორც ახლა გამოირკვა, გუშინ საბერძნეთის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა კორიცას (კორჩა) მახლობლად მდებარე აეროდრომს. ბერძნებმა კორიცის მიმართულებით წაიწიეს და რამდენიმე ნაგებობა დაანგრიეს.

გუშინ, დილით, იტალიის თვითმფრინავებმა, რომლებიც ორ თანამიმდევრულ ტალღად მოქმედებდნენ, ყუმბარები დაუშინეს სალონიკის ნავსადგურს და ქალაქ სალონიკს. თვითმფრინავებმა საშუალო ზომის დაახლოებით 20 ყუმბარა ჩამოჰყარეს. დანგრეულია სანაპიროზე და ქალაქის ცენტრში მდებარე რამდენიმე სახლი. ნავსადგურში მოსპობილია რამდენიმე პატარა გემი. ქალაქში რამდენიმე ადგილას გაჩენილი ხანძარი სწრაფად იქნა ლიკვიდირებული. ბომბარდირების შედეგად მოკლულია 59 და დაჭრილია 84 კაცი. ერთი ყუმბარა დაეცა იმ სკოლის მახლობლად, სადაც 450 იტალიელი იყო ინტერნირებული.

საღამოს იტალიის ყუმბარმშენთა სხვა ორი შენაერთი კვლავ ცდილობდა ყუმბარები დაეშინა სალონიკისათვის, მაგრამ უკუგდებულ იქნა. ყუმბარების უმრავლესობა ზღვაში ჩავარდა.

პროტესტი ნერუს დაპატიმრების წინააღმდეგ

ლონდონი, 2 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ყოფილი თავმჯდომარის ჯავახარლალ ნერუს დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ბომბეიში დაიხურა ყველა ბაზარი. ნერუ კონგრესის ერთერთი მოღვაწე იყო იმ ორ მოღვაწეს შორის, რომელთაც განდიმ დაავალა სათავეში ჩასდგომოდნენ სამოქალაქო ურჩობის კამპანიას. კონგრესის მეორე წევრი—ვინოვა, რომელიც სამოქალაქო ურჩობის კამპანიას მეთაურობდა, რამდენიმე დღის წინათ დააპატიმრეს.

ა. პიტერსკი

ლენინი და სტალინი ოქტომბრის დღეებში

1924 წლის იანვარში კრემლის კურსანტების საღამოზე, რომელიც ლენინის ხსოვნას მიეძღვნა, სტალინმა სთქვა:

„ლენინი რევოლუციისათვის იყო დაბადებული. ის იყო რევოლუციურ აფეთქებათა ნამდვილი გენია და რევოლუციური ხელმძღვანელობის უდიდესი ოსტატი. არასდროს ის არ გრძნობდა თავს ისე თავისუფლად და აღტაცებულად, როგორც რევოლუციური ძვრების ეპოქაში... არასოდეს ლენინის გენიალური შორსმჭვრეტელობა არ მჟღავნდებოდა ისეთი სისრულით და გარკვევით, როგორც რევოლუციურ აფეთქებათა დროს. რევოლუციურ მობრუნებათა დღეებში ის პირდაპირ ჰყვაოდა, გულთმისანი ხდებოდა, წინასწარ ხედებოდა კლასების მოძრაობას და რევოლუციის მოსალოდნელ ზიგზაგებს, როგორც ხელის გულზე, ისე ხედავდა მათ“.

ეს სიტყვები სრული უფლებით შეიძლება შეეფარდოს თვითონ სტალინსაც, ლენინის ერთგულ მოწაფეს, მის უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლს.

ბოლშევიკური პარტიის ბელადთა და შემქმნელთა მძლავრი გენია მთელი ძალით გამომჟღავნდა 1917 წლის ოქტომბრის დღეებში. ლენინ-სტალინის პარტიამ მსოფლიო ისტორიის ამ გადამწყვეტ მომენტში ღირსეულად ჩააბარა უდიდესი გამოცდა, გადალახა ყველა სიძნელენი. მან საერთო რევოლუციურ ნაკადად შეაერთა მუშათა კლასის ბრძოლა სოციალიზმისათვის, გლეხობისა — მიწისათვის, ჩაგრული ეროვნებებისა — თანასწორუფლებიანობისათვის, ხალხის ფართო მასებისა—ზავისათვის, მან მიაღწია კაპიტალიზმის დამხობას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას.

VI ყრილობაზე (26/VII—3/VIII), რომელსაც ლენინი იატაკქვეშეთიდან ხელმძღვანელობდა. ამხანაგ სტალინის მოხსენებების მიხედვით მიღებულ იქნა ისტორიული გადაწყვეტილებანი. ამ გადაწყვეტილებებმა გზა მისცეს პარტიას შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ. ახლოვდებოდა ბურჟუაზიასთან გადამწყვეტი შეტაკების მომენტი.

1917 წლის სექტემბრის დამლევი ხასიათდებოდა ძირფესვიანი გარდატეხით რუსეთის რევოლუციის განვითარებაში. ჩვენს ქვეყანას სულ უფრო და უფრო ფართოდ ედებოდა გლეხთა აჯანყებების ტალღა. მუშები არ სჯერდებოდნენ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს და იწყებდნენ ფაბრიკებისა და ქარხნების ხელში ჩაგდებას. კორნილოვშჩინის განადგურების შემდეგ, მასთან ბრძოლაში განმტკიცდნენ თითქოს დაუძლურებული საბჭოები და ისინი ზედიზედ ხდებოდნენ ბოლშევიკური. ჩვენი პარტიის გავლენა ყოველდღიურად კი არა, ყოველსაათობით იზრდებოდა. სექტემბერში მოსკოვის რაიონულ სათათბიროთა არჩევნებში ყველა ამომრჩეველთა 51 პროცენტმა ბოლშევიკებს მისცა ხმა. რუსეთის განაპირა მხარეებში სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

დროებითი მთავრობა გამალებით ჰკრებდა კონტრრევოლუციურ ძალებს და, ამზადებდა რა ახალ კორნილოვშჩინას, დედაქალაქთან თავს უყრიდა ყაზახთა დივიზიებს, დამკვრელ ბატალიონებს, იუნკრებს, პოლონელთა და ჩეხოსლოვაკთა კორპუსებს. კერენსკები აპირებდნენ რადაც არ უნდა დასჯდომოდათ გაენადგურებინათ რევოლუციური პროლეტარიატი და განზრახული ჰქონდათ გერმანელებისათვის ჩაებარებინათ პიტერი.

ამ კრიზისისაგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება რუსეთისათვის იყო ის გამოსავალი, რომელსაც უჩვენებდა ბოლშევიკური პარტია, უჩვენებდა ლენინი, —ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში, სოციალისტური რევოლუცია. „ბოლშევიკებს შეუძლიათ აიღონ და უნდა აიღონ კიდეც თავის ხელში სახელმწიფო ძალაუფლება“, — სწერდა ჩვენი პარტიის ცენტრალურ, პეტროგრადისა და მოსკოვის კომიტეტებს 1917 წლის შუა სექტემბერში ლენინი, რომელიც ფინეთში იატაკქვეშეთში იმალებოდა.

მეორე წერილში, რომელიც დაწერილია ამავე დღეებში, ლენინი, ანვითარებს რა დასკვნას ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში აღების აუცილებლობის შესახებ, ანალიზს უკეთებს იმ პირობებს, რომლების დროსაც აჯანყება შეიძლება წარმატებით დამთავრდეს. ლენინი მიუთითებს, რომ აჯანყება უნდა ეყრდნობოდეს „მოწინავე კლასს“, „ხალხის რევოლუციურ აზვირთებას“ და „ისეთ **გარდატეხის** პუნქტს მოახლოებული რევოლუციის ისტორიაში, როდესაც ხალხის მოწინავე რიგების აქტივობა ყველაზე დიდია, როდესაც **მერყეობა** მტრების რიგებში და **რევოლუციის სუსტ ორჭოფ გაუბედავ მეგობართა რიგებში** ყველაზე ძლიერია“. ეს პირობები არსებობდა რუსეთში 1917 წლის სექტემბერში.

ლენინი ანვითარებს აჯანყების კონკრეტულ გეგმას და მოითხოვს, რომ „აჯანყებას მოვეკიდოთ მარქსისტულად, ე. ი. როგორც ხელოვნებას“. ეს იმას ნიშნავდა, რომ სწორად შევარჩევთ რა აჯანყების მომენტს, საჭიროა ერთი წუთიც არ დავკარგოთ და „შევქმნათ აჯანყებულთა რაზმების **შტაბი,** გავანაწილოთ ძალები, დავძრათ ერთგული პოლკები ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტებისაკენ, შემოვერტყათ ალექსანდრინკას, დავიკავოთ პეტროპავლოვკა, დავაპატიმროთ გენერალური შტაბი და მთავრობა, იუნკრებისა და ველური დივიზიის წინააღმდეგ გავგზავნოთ ისეთი რაზმები, რომლებსაც შესწევთ უნარი დაიღუპონ, მაგრამ მტერს კი არ მისცენ საშუალება დაიძრას ქალაქის ცენტრებისაკენ; ჩვენ უნდა მოვახდინოთ შეიარაღებულ მუშათა მობილიზაცია, მოვუწოდოთ მათ გააფთრებული უკანასკნელი ბრძოლისაკენ, დავიკავოთ ერთბაშად ტელეგრაფი და ტელეფონი, მოვათავსოთ აჯანყების **ჩვენი** შტაბი ტელეფონის ცენტრალურ სადგურთან, დავაკავშიროთ მასთან ტელეფონით ყველა ქარხანა, ყველა პოლკი, შეიარაღებული ბრძოლის ყველა პუნქტი და სხვ.“

ცენტრალური კომიტეტის 15 (28) სექტემბრის სხდომაზე გამოსულმა ამხანაგმა სტალინმა მთლიანად დაუჭირა მხარი ლენინის მიერ განვითარებულ დებულებებს და წამოაყენა წინადადება, რომ ლენინის წერილები განსახილველად დაგზავნოდა პარტიის ყველაზე მნიშვნელოვან ორგანიზაციებს. ცენტრალურმა კომიტეტმა ამ სხდომაზე უარჰყო კამენევის საზიზღარი წინადადება ლენინის წერილების მოსპობის შესახებ.

ლენინის დირექტივების სრული შესაბამისობით, სტალინი პარტიის ცენტრალურ ორგანო „რაბოჩი პუტში“ ეწეოდა აგიტაციას აჯანყების მომზადებისათვის. ლენინმა მაშინვე განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა სტალინის ამ მუშაობას და ხელმძღვანელ სტალინურ სტატიებს „რაბოჩი პუტში“. იატაკქვეშეთიდან ვლადიმერ ილიას-ძეს განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა სტალინთან და ცენტრალურ კომიტეტთან. ამ დღეებში ვლადიმერ ილიას-ძემ დასწერა მთელი რიგი სტატიები „რაბოჩი პუტისათვის“ და ბოლშევიკურ ჟურნალ „პროსვეშჩენიესათვის“, მთელი რიგი წერილები მისწერა პარტიულ კომიტეტებს, იგი ყოველმხრივ ამზადებდა პარტიას აჯანყებისათვის. თავის წერილებსა და სტატიებში ლენინი ამათრახებდა კამენევს, ზინოვიევს და მათს თანამოაზრეებს, რომლებიც ცდილობდნენ მოეშორებინათ პარტიის ყურადღება შეიარაღებული აჯანყების გზისაგან.

მოვლენათა მომწიფებასთან დაკავშირებით 1917 წლის 3 (16) ოქტომბერს ბოლშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა ნება დართო ილიჩს „გადმოვიდეს პიტერში, რათა შესაძლებელი იყოს მუდმივი და მჭიდრო კავშირი“. 7 ოქტომბერს ვლადიმერ ილიას-ძე ორთქლმავლით არალეგალურად ჩამოვიდა პეტროგრადში და დაბინავდა ფოფანოვას ბინაზე ვიბორგის მხარეზე. რამდენიმე საათის შემდეგ 8 ოქტომბერს ვლადიმერ ილიას-ძესთან სტალინი მივიდა. სტალინმა გააცნო ილიჩს პიტერში შექმნილი მდგომარეობა. ბოლშევიკური პარტიის ბელადებმა ერთად დასახეს სოციალისტური რევოლუციის შემდგომი მომზადების გეგმა. ამავე დღეს ვლადიმერ ილიას-ძემ დასწერა თავისი შესანიშნავი წერილი „გარეშის რჩევანი“.

თავისი სისხარტით, კონკრეტულობითა და სიღრმით კლასიკურ სტრიქონებში ლენინი ნათელ და მკაფიო დირექტივებს აძლევდა პარტიას. ამავე დღეებში ლენინმა მისწერა თავისი წერილები პიტერის საქალაქო პარტიულ კონფერენციას და ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების საოლქო ყრილობის მონაწილე ბოლშევიკებს.

1917 წლის 10 (23) ოქტომბერს ლენინი ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე გამოცხადდა. ცენტრალური კომიტეტის წევრები სიხარულით მიესალმნენ თავის მასწავლებელსა და მეგობარს. ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიულ სხდომაზე ლენინი გამოვიდა მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ. ვლადიმერ ილიას-ძემ მიუთითა, რომ „პოლიტიკურად საქმე სავსებით მომწიფდა ძალაუფლების გადასასვლელად...“, და მოითხოვა აჯანყების ყოველმხრივი ტექნიკური მომზადება. ლენინის მიერ წამოყენებული რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ მიღებულ იქნა ყველა ხმით გამცემლების — კამენევისა და ზინოვიევის ხმების წინააღმდეგ, რომლებიც აჯანყებას დამარცხებას უწინასწარმეტყველებდნენ და ცილისმწამებლურად აცხადებდნენ, მუშათა კლასს ხელისუფლების აღება არ ძალუძსო. იუდუშკა-ტროცკიმ ამ სხდომაზე შეიტანა გამცემლური შესწორება, რომლითაც წამოაყენა წინადადება— აჯანყების დაწყება საბჭოების II ყრილობის გახსნამდე გადადებულიყო. ეს ნიშნავდა დროებითი მთავრობისათვის აჯანყების დღის გამჟღავნებას და კონტრრევოლუციისათვის ძალთა მოკრების შესაძლებლობის მიცემას. ცენტრალურმა კომიტეტმა ეს გამცემლური „შესწორება“ უარჰყო.

ბოლშევიკური პარტია, ამზადებდა რა შეიარაღებულ აჯანყებას, ეწეოდა აქტიურ მუშაობას პროლეტარული რევოლუციის ყველა ძალების მობილიზაციისათვის. 1917 წლის 13 (26) ოქტომბერს პარტიის ცენტრალურ ორგანო „რაბოჩი პუტში“ მოთავსებულ სტატიაში „საბჭოების ძალაუფლება“ სტალინი, მიმართავდა რა მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს, სწერდა: „დადგა მომენტი, როდესაც რევოლუციური ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ ბოლოსდაბოლოს უნდა განხორციელდეს“. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილებზე დაგზავნა რწმუნებულნი აჯანყების მოსაწყობად. 12 (25) ოქტომბერს პარტიის დირექტივით პეტროგრადის საბჭოსთან შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელიც აჯანყების ლეგალური შტაბი გახდა. ლენინი და სტალინი ყველა იმ დღეებში უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მის მუშაობას.

16 (29) ოქტომბერს შესდგა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელიც მოწვეულ იქნა ლენინის წინადადებით. ვლადიმერ ილიას-ძე გამოვიდა მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესახებ. თავისი მოხსენება ილიჩმა დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „როგორც რუსეთში, ისე ევროპაში კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკური ანალიზიდან გამომდინარეობს აუცილებლობა უაღრესად გადამწყვეტი, უაღრესად აქტიური პოლიტიკისა, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ შეიარაღებული აჯანყება“.

კამენევმა და ზინოვიევმა ამ სხდომაზე კვლავ გაილაშქრეს შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ. ეს კაპიტულანტები და გამცემლები მხილებულ იქნენ ამხანაგ სტალინის მიერ: „იმას, რის წინადადებასაც იძლევიან კამენევი და ზინოვიევი, ობიექტურად მივყავართ კონტრრევოლუციის დარაზმვის შესაძლებლობისაკენ“. ამავე სხდომაზე ლენინის წინადადებით არჩეულ იქნა პარტიული ცენტრი აჯანყების სახელმძღვანელოდ ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

იმავე დღეს და შემდგომ დღეს —17 (30) ოქტომბერს ვლადიმერ ილიას-ძემ დასწერა წერილი „ამხანაგებს“, რომელშიც გესლიანად დასცინა კამენევისა და ზინოვიევის კაპიტულანტურ არგუმენტებს აჯანყების წინააღმდეგ. მაგრამ რევოლუციის საზიზღარმა შტრეიკბრეხერებმა, რომლებსაც ჩაეფუშათ მათი ცდა ხელი შეეშალათ აჯანყების ლენინური გეგმის მიღებისათვის, ახალი უმაგალითო გამცემლობა ჩაიდინეს. 18 ოქტომბერს ისინი მენშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში“ გამოვიდნენ ბოლშევიკური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, გაუმხილეს ბურჟუაზიას პარტიის საიდუმლო გადაწყვეტილება აჯანყების შესახებ. ეს იყო ღალატი, რაც ჩაშლით ემუქრებოდა აჯანყებას, რომელიც მზადდებოდა, ეს იყო კონტრრევოლუციისათვის პირდაპირი დახმარების გაწევა. ლენინმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა კამენევისა და ზინოვიევის შტრეიკბრეხერობა და ცენტრალური კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი პარტიიდან ორივე მოღალატის გარიცხვის შესახებ.

შტრეიკბრეხერების მიერ გაფრთხილებულმა კერენსკის მთავრობამ დაიწყო ზომების მიღება, რათა ჩაეხშო აჯანყება, რომელიც მზადდებოდა. მობილიზებულ იქნა კონტრრევოლუციის ყველა ძალები. კერენსკიმ დაიმუშავა გეგმა ბოლშევიკების განადგურებისა საბჭოების II ყრილობის წინ, რომელიც 25 ოქტომბრისათვის (7 ნოემბრისათვის) იყო დანიშნული. მაგრამ ბოლშევიკურმა პარტიამ, რომელსაც ლენინი და სტალინი ხელმძღვანელობდნენ, დააჩქარა რევოლუციურ ძალთა მოკრება. 12.000 წითელგვარდიელი მომზადებული იყო გამოსვლისათვის პარტიის პირველ დაძახებისთანავე. პეტროპავლეს ციხიდან წითელგვარდიელებისათვის გამოტანილ იქნა იარაღი. სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა დანიშნა თავისი კომისრები ყველა სამხედრო ნაწილში. ამ კომისრების რიცხვმა მალე 600 კაცს მიაღწია. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტისა და მისი კომისრების სანქციის გარეშე სარდლობის ბრძანებები არ სრულდებოდა ნაწილებში. დროებითი მთავრობის გეგმების შესახებ იცოდა ბოლშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა. 21 ოქტომბერს (3 ნოემბერს) ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე სტალინის წინადადებით გადაწყდა დავალებოდა ლენინს მოემზადებინა საბჭოების II ყრილობის ძირითადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის
აყვავებისათვის

კოლმეურნეები საქმით უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას

(სტალინირი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები — ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილებას დიდი სიხარულითა და შრომითი აღმავლობით შეხვდნენ. ყველა კოლმეურნეობაში მიმდინარეობს დადგენილების გულდასმით გაცნობა.

კოლმეურნეები, აღფრთოვანებულნი სტალინური ზრუნვით, მეზობელი ქართლის რაიონების კოლმეურნეების მსგავსად, ახალ-ახალ ვალდებულებებს იღებენ და სახავენ ღონისძიებებს, რათა სამხრეთ - ოსეთის რაიონებიც დაისერონ სარწყავი არხებით, კეთილმოწყობილი გზებით, კიდევ უფრო განვითარდეს მესაქონლეობა, მეხილეობა, მევენახეობა.

განსაკუთრებული სიხარული სუფევს სოფ. ვანათის კოლმეურნეობებში. პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებით აქ 1943 წელს უნდა შეუდგნენ და დაამთავრონ 17 კილომეტრის სიგრძის სარწყავი არხის მშენებლობა, რომელიც სტალინირისა და გორის რაიონების 3.500 ჰექტარ ფართობს მორწყავს.

კოლმეურნეები კისრულობენ არხის მშენებლობა დაიწყონ და დაამთავრონ არა 1943 წელს, არამედ უფრო ადრე.

სოფ. ვანათის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრება“ აწყობს მექათმეობის ფერმას 90 ფრთა ქათმით და მეცხენეობის ერთ ფერმას. ცხენების შესაძენად კოლმეურნეობამ უკვე მიიღო ზომები. მომავალი წლიდან გააშენებენ 2 ჰექტარ ვენახს. კოლმეურნეები ილო თედელური და ი. ოქროპირიძე თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთზე რგავენ 5 ძირ ნიგოზსა და 16 ძირს ხეხილსა და ქარსაცავ მცენარეს.

კატუშა თედელურმა, მელანა გალეგაშვილმა და მარუსა თედელურმა ვალდებულება აიღეს, რომ მომავალ წელს შაქრის ჭარხალს ჰექტარზე 60 ცენტნერის ნაცვლად 120 ცენტნერს მიიღებენ.

სოფ. კოხათის მოწინავე კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარეა ამხ. თუღან კუმარიტოვი, აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა. ამ სოფელში დღემდე არა ჰქონიათ არცერთი ძირი ხეხილი, ახლა კი კოლმეურნეები კისრულობენ მომავალ წელს საკარმიდამო ნაკვეთზე დარგონ 10-15 ძირი ხეხილი თვითეულმა. სასოფლო საბჭოს ცენტრიდან ამ სოფლამდე გზის პირას დარგავენ რამდენიმე ასეულ ძირ ხეს. კოლმეურნეობა პირობას იძლევა, რომ ვანათის არხის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს და პირველობას არავის დაუთმობს. ნაკისრ ვალდებულებათა უკეთ შესრულების მიზნით ამ კოლმეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ვანათის სასოფლო საბჭოს თორმეტივე კოლმეურნეობა.

პარტიისა და მთავრობის დადგენილების გამოქვეყნებამ კიდევ უფრო მაღლა ასწია სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეთა შრომითი ენთუზიაზმი. კოხათის კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე დაამთავრა პირუტყვის ბინების აშენება და შეკეთება. კოლმეურნეობის პირუტყვი თბილი და სუფთა ბინებით არის უზრუნველყოფილი, საკმაო რაოდენობითაა მომარაგებული საკვები მასალაც. კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა მატყლის, კარტოფილისა და სხვა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადების წლიური გეგმა.

რ. ფალავანდიშვილი.

ფართოდ განვავითაროთ მევენახეობა დუშეთის რაიონში

როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, დუშეთის რაიონის ბარის სოფლებში ფართოდ ყოფილა განვითარებული მევენახეობა, მაგრამ ფილოქსერის გავრცელების შედეგად ვენახის ნარგავები განადგურებულა და საუკეთესო ჯიშები გადაშენებულა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დუშეთის რაიონში ფეხს იკიდებს მევენახეობა და 1937 წლისათვის ვენახების ფართობი აღწევს 102 ჰექტარს. ამჟამად რაიონში ვენახების ფართობი 169 ჰექტარს უდრის, რაც ამ მოკლე ხანში 215 ჰექტარამდე იქნება აყვანილი.

სამრეწველო მეხილეობასა და მევენახეობას საუკეთესო პერსპექტივა აქვს დუშეთის რაიონში. ჯიქურაულთკარის არხი, რომლის მშენებლობა ამ დადგენილების მიხედვით მომავალ წელს უნდა დამთავრდეს, ვენახებისა და ხეხილის ბაღებისათვის საუკეთესო ნოყიერ ნიადაგად გადააქცევს არაგვისპირა ველებს, რომლებიც ჯერ სათანადოდ არ არის გამოყენებული.

თელავის მევენახეობის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული შემოწმებით, ნიადაგის ანალიზით, გამოცდილი კოლმეურნეებისა და აგრონომების დაკვირვებით დადასტურებულია, რომ დუშეთის რაიონში არსებობს ხელსაყრელი პირობები მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის ფართოდ განვითარებისათვის. ვენახებისათვის გამოსადეგი მიწების დიდი მარაგია განსაკუთრებით მჭადიჯვრის, ბაზალეთის, ჭონქაძის, ჭოპორტის, ჟინვალის, ანანურის, ლაფანაანთკარის და გრემისხევის საბჭოების 50 კოლმეურნეობაში.

დუშეთის რაიონში უნდა გაშენდეს განსაკუთრებით ადგილობრივი ჯიშის ვაზები: „გორული მწვანე“, „რქაწითელი“, „საფერავი“ და სხვ. ჯიქურაულთკარის არხის გაყვანასთან ერთად შეიძლება მოეწყოს დამხმარე სარწყავი ქსელი სოფელ ქუშრიანთკარიდან ჭოპორტის მიმართულებით, შეიძლება აგრეთვე ბაზალეთის ტბიდან რეგულატორის საშუალებით მჭადიჯვრისა და ბაზალეთის მინდვრებზე სარწყავი ქსელის გაყვანა. ეს საშუალებას მოგვცემს მოვრწყათ უკვე არსებული ვენახის ნარგავები და აგრეთვე ახალი ფართობები ავითვისოთ ვენახებისათვის ამ ადგილებში.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ შემოდგომაზე ვენახების გასაშენებლად ნიადაგის მომზადება (პლანტაჟი) უმჯობესია ჩატარდეს გაზაფხულის თვეებში და არა ივლის-აგვისტოში, როგორც ეს ზოგან ხდებოდა ხოლმე. გაზაფხულზე მომზადებული ნიადაგი ვაზის გახარებისა და ზრდა-განვითარებისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნერგების მოვლას. ამ საქმის მცოდნენი ჩვენ გვყავს რაიონში. კოლმეურნეობებში მოიპოვებიან მოწინავე ბრიგადირები და კოლმეურნეები, რომელთაც საკმაო გამოცდილება დააგროვეს ამ დარგში. მაგალითად, ჭოპორტის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ბრიგადირს იოსებ ლაფანაშვილს მოსავლელად აბარია 8 ჰექტარი ვენახი. მას ვენახების ფართობის ცალკეული ნაკვეთები მიმაგრებული აქვს ბრიგადის წევრებზე. მან დანერგა რგოლური სისტემა, უზრუნველჰყო შრომის ზუსტი აღრიცხვა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა უნაკლოდ გატარებით მიაღწია ახალგაშენებული ვაზების გახარებას და ნორმალურ განვითარებას 97 პროცენტით. მისმა ბრიგადამ მინიმუმამდე დაიყვანა ვაზის დაავადება. ასეთივე დახელოვნებული მევენახეები გვყავს ოძისის, ახალშენის, არანისის, ინიანთკარის, ბიჩინგაურთკარის და სხვა კოლმეურნეობებში. მაგრამ, რაკი ჩვენ ფართოდ ვკიდებთ ხელს მევენახეობის განვითარებას, დაგვჭირდება მევენახეობის კადრების მეტი რაოდენობა როგორც აგროპერსონალის, ისე პრაქტიკოსი კოლმეურნეების სახით. ამიტომ დღეიდანვე უნდა შევუდგეთ კადრების მომზადების საქმეს.

სამრეწველო მევენახეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვაზის სანერგის კარგად მოწყობას. ამჟამად რაიონში სანერგე გვაქვს 4,7 ჰექტარზე, რაც მომავალი წლიდან უნდა გადიდდეს 6,5 ჰექტარამდე. აუცილებლად საჭიროა მჭადიჯვრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში აშენდეს სტანდარტული ვაზის ნამყენთა გამოსაყვანი სათბური.

მევენახეობის ბრიგადებისა და რგოლების შექმნა აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ გაშენებულ ვენახებში, ვაზის სადედეებში და სანერგეებში უზრუნველყოფილ იქნას აგროტექნიკურ ღონისძიებათა თავის დროზე გატარება და მაღალი მოსავლის მიღწევა.

დუშეთის რაიონის კოლმეურნეებს ყველა შესაძლებლობა აქვთ 1945 წლამდე 700 ჰექტარამდე აიყვანონ ვენახების ფართობი.

ა. ივანიაძე

დუშეთის რაიონის მიწგანის აგრონომი.

მოხსენებანი და გადაწყვეტილებანი: ზავის შესახებ, მიწის შესახებ და ხელისუფლების შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სტალინსა და სვერდლოვს საბჭოების ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის ხელმძღვანელობა, სტალინსა და ძერჟინსკის—მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მუშაობის ხელმძღვანელობა. აჯანყების მზადება გაცხოველებით მიმდინარეობდა.

პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე ტროცკიმ მოღალატურად გაუმჟღავნა მტრებს აჯანყების დრო, და ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა აჯანყება დაეწყო ადრე—24 ოქტომბერს (6 ნოემბერს).

ამ დღეს დილიდან კერენსკიმ დაიწყო თავისი გამოსვლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. 6 საათზე იუნკრები შეიჭრნენ ბოლშევიკების ცენტრალური ორგანოს „რაბოჩი პუტის“ რედაქციასა და სტამბაში. „რაბოჩი პუტის“ დასახსნელად ამხანაგ სტალინის მითითებით დაიძრნენ ბოლშევიკების გავლენის ქვეშ მყოფი ავტო-საჯავშნო დივიზიონის ჯავშნოსნები და წითელი გვარდია. იუნკრები სწრაფად იქნენ განდევნილნი რედაქციიდან და სტამბიდან და დილის 11 საათისათვის გამოშვებულ იქნა „რაბოჩი პუტის“ მორიგი ნომერი. სტალინის მიერ დაწერილ მოწინავე სტატიაში „რა გვინდა ჩვენ“ პარტია მოუწოდებდა დროებითი მთავრობის დამხობისაკენ.

სმოლნში შესდგა ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის სხდომა. ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ძერჟინსკის უზრუნველეყო ფოსტისა და ტელეგრაფის დაკავება, სვერდლოვს—თვალი ედევნებინა დროებითი მთავრობის ყოველი ნაბიჯისათვის. გადაწყდა დაუყოვნებლივ გამოეძახნათ ფლოტი და მეზღვაურები კრონშტადტიდან. აჯანყება ჩატარდებოდა ვლადიმერ ილიას-ძის მიერ დასახული გეგმით.

ლენინი ამ დროს ფოფანოვას ბინაში იმყოფებოდა, მის მიერ ვიბორგის რაიონული კომიტეტის საშუალებით გაგზავნილ შეკითხვაზე—შეეძლო თუ არა მას სმოლნში მისვლა, სტალინმა უპასუხა, რომ ახლა გამოსვლა საშიშია. ამ საათებში ლენინმა დასწერა თავისი ცნობილი წერილი ცენტრალური კომიტეტის წევრებისადმი მოთხოვნით:

„არავითარ შემთხვევაში, არასგზით არ შეუნარჩუნოთ ხელში კერენსკის და კომპანიას ძალაუფლება 25-მდე; გადასწყვიტეთ საქმე აუცილებლად დღეს საღამოს ან ღამე“.

სტალინი და ცენტრალური კომიტეტი ზუსტად ასრულებდნენ ლენინის ამ დირექტივას.

საღამოს ვლადიმერ ილიას-ძემ, საშიშროების მიუხედავად გაიკეთა გრიმი და წავიდა სმოლნში, თავის დიასახლისს კი დაუტოვა ბარათი: „წაველი იქ, სადაც თქვენ არ გინდოდათ, რომ წავსულიყავი. ნახვამდის. ილიჩი“.

სტალინთან ერთად ლენინმა ხელში აიღო შეიარაღებული აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობა.

ოქტომბრის რევოლუცია დაიწყო, და ხელად ამოძრავდნენ ბოლშევიკების მიერ ორგანიზებულ მებრძოლთა რაზმები. 24 ოქტომბერს (7 ნოემბერს) ღამით დაკავებულ იქნა ვაგზლები, ხიდები, ფოსტა, ტელეგრაფი, სამინისტროები, სახელმწიფო ბანკი. დილისათვის თითქმის მთელი ქალაქი აჯანყებული მუშებისა და ჯარისკაცების ხელში იყო. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) დილის 10 საათზე ვლადიმერ ილიას-ძემ დასწერა ცნობილი მიმართვა რუსეთის მოქალაქეთადმი:

„დროებითი მთავრობა დამხობილია. სახელმწიფო ძალაუფლება გადავიდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანოს — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში, რომელიც სათავეში უდგას პეტროგრადის პროლეტარიატსა და გარნიზონს“.

ამ ისტორიულ საათებსა და დღეებში, რომლებმაც შესძრეს ქვეყნიერება, ლენინი და სტალინი აჯანყების შიგ ცენტრში ერთად ხელმძღვანელობდნენ ოქტომბრის რევოლუციას, მიმართულებას აძლევდნენ და რაზმავდნენ პროლეტარიატის, მატროსებისა და ჯარისკაცების რევოლუციურ რაზმებს ზამთრის სასახლეზე იერიშის მისატანად, იძლეოდნენ დირექტივებს ადგილებზე აჯანყების შესახებ, უკავშირდებოდნენ რა ბოლშევიკებს რუსეთის ყველა კუთხეში. კრეისერ „ავრორას“ რადიოსადგური, პირველი ბოლშევიკური რადიოსადგური, უკვე გზავნიდა ეთერში მგზნებარე სიტყვებს ახალი პროლეტარული ხელისუფლების შესახებ, პროლეტარიატის ახლადდაბადებული დიქტატურის შესახებ. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) დღის 2 საათსა და 30 წუთზე სმოლნში გაიხსნა პეტროგრადის საბჭოს საგანგებო სხდომა. უდიდესი აღტაცებით შეხვდა დარბაზი ლენინს. ვლადიმერ ილიას-ძე გამოვიდა მოხსენებით საბჭოების ხელისუფლების ამოცანათა შესახებ. იგი ამბობდა:

„მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობის შესახებაც მუდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, მოხდა“.

საღამოს სმოლნში გაიხსნა საბჭოების II ყრილობა. ლენინმა დასწერა ყრილობის მიმართვა „მუშებისა, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი“, რომელიც აცხადებდა მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ. ეს მიმართვა ყრილობამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო. ლენინსა და სტალინს არ შეეძლოთ დასწრებოდნენ ყრილობის 25 ოქტომბრის საღამოს სხდომას. ოქტომბრის რევოლუციის ბელადები ხელმძღვანელობდნენ ზამთრის სასახლის იერიშის ორგანიზაციას და მუშაობდნენ რევოლუციისათვის ისეთი უაღრესად არსებითი საკითხების გადაწყვეტაზე, როგორიც იყო პიტერის მომარაგება პურით. დედაქალაქში პური ორი დღის სამყოფი დარჩა. კონტრრევოლუციას უნდოდა შიმშილით ამოერთვა სული აჯანყებული პროლეტარიატისათვის.

ლენინმა და სტალინმა შექმნეს რამდენიმე შეიარაღებული რაზმი, რომლებმაც გაჩხრიკეს რკინიგზის ყველა ლიანდაგი და სადგური და აღმოაჩინეს პურით სავსე რამდენიმე ათეული ვაგონი. ეს რამდენიმე ხანს უზრუნველჰყოფდა ქალაქს სურსათით.

ლენინისა და სტალინის დაძაბული მუშაობა სმოლნში მთელ ღამეს გრძელდებოდა. 26 ოქტომბრის (8 ნოემბრის) დილის მესამე საათი იყო, საბჭოების წითელი დროშა ზამთრის სასახლეზეც რომ აფრიალდა.

26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) დილით ლენინმა დასწერა დეკრეტი მიწის შესახებ. ამავე დღეს ილიჩმა სტალინთან ერთად ჩაატარა სხდომა ცენტრალური კომიტეტისა, რომელმაც განიხილა პირველი საბჭოთა მთავრობის შემადგენლობის საკითხი. როდესაც ერთმა დამსწრეთაგანმა იწყო უარისთქმა სახალხო კომისრად დანიშვნაზე და მიზეზად ის მოჰყავდა, რომ გამოცდილება არა მაქვსო, ვლადიმერ ილიას-ძემ გადაიხარხარა: „თქვენ ფიქრობთ, რომ რომელიმე ჩვენგანს აქვს ასეთი გამოცდილება?“.

8 ნოემბერს საღამოს 9 საათზე გაიხსნა საბჭოების ყრილობის მეორე სხდომა. ძნელია იმ აღტაცების გადმოცემა, რომლითაც დელეგატები ლენინს შეხვდნენ. ვლადიმერ ილიას-ძის გვერდით იდგა მისი უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი — სტალინი. ყრილობის ამ ისტორიულ ღამის სხდომაზე ლენინის მოხსენებათა მიხედვით მიღებულ იქნა დეკრეტები ზავის შესახებ, მიწის შესახებ და შექმნილ იქნა პირველი საბჭოთა მთავრობა. ლენინი არჩეულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ, სტალინი—ეროვნებათა საქმეების თავმჯდომარედ. შემდეგში, 1917 წლის დამლევს, როდესაც ლენინი სახკომსაბჭოში არ იყო ხოლმე, მას თავმჯდომარის პოსტზე სცვლიდა სტალინი.

27 ოქტომბერს (9 ნოემბერს). ოქტომბრის რევოლუციის მესამე დღეს, ლენინმა და სტალინმა რკინის ხელით მოაწყეს პეტროგრადის დაცვა კერენსკის ჯარებისაგან, რომელმაც გატჩინა აიღო. სტალინთან ერთად ვლადიმერ ილიას-ძე მივიდა რევოლუციური ჯარის შტაბში, შეამოწმა თავდაცვის გეგმა და მასში არსებითი შესწორებები შეიტანა. „მუშათა და გლეხთა მთავრობას სურს იცოდეს, როგორ მოქმედებენ მისი სამხედრო ხელისუფალნი“, — განაცხადა ილიჩმა შტაბში. პარტიამ ყველაფერი ფეხზე დააყენა რევოლუციური პიტერის დასაცავად. საღამოს ვლადიმერ ილიას-ძე პირდაპირი მავთულით ელაპარაკა ჰელსინგფორსს და პეტროგრადში გამოიძახა ბალტიის ფლოტის სამხედრო გემები.

9 ნოემბერს პარტიის ცენტრალური ორგანო კვლავ გამოვიდა სახელოვანი ძველი საბრძოლო ბოლშევიკური სახელწოდებით „პრავდა“.

სმოლნი ამ ღამეს მრავალი ათასი შუქით ბრწყინავდა. სოციალისტური რევოლუციის შტაბი აწარმოებდა გიგანტურ მუშაობას მთელ ჩვენს ქვეყანაში ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლისათვის ბრძოლის გასაშლელად. ლენინთან და სტალინთან განუწყვეტლივ მიდიოდნენ მუშები, ჯარისკაცები, მატროსები, გლეხები, სახალხო კომისრები და სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრები. აქედან, სმოლნის ოთახიდან, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში — მოსკოვში და ურალზე, კიევში და ვოლგაზე მიდიოდა ლენინური მითითებები, დირექტივები, დეკრეტები, აქედან გაემართნენ ადგილებზე პარტიის მიერ წარგზავნილები, რომ წინ წაეწიათ სოციალისტური რევოლუციის საქმე.

დიდი თანამეგობრობით ხელმძღვანელობდნენ ლენინი და სტალინი ბოლშევიკურ პარტიას და პროლეტარულ რევოლუციას. რევოლუციური ბრძოლის გენიოსებმა, კომუნიზმის ბელადებმა ფეხზე დააყენეს პარტია, მოახდინეს მისი მობილიზაცია, მისცეს მას მიმართულება შეიარაღებული აჯანყებისაკენ. პარტია გაუძღვა მუშათა კლასს და ღარიბი გლეხობის ფართო მასებს და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი გამარჯვება — კაპიტალისტების ხელისუფლების დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება — მოპოვებულ იქნა.

დაიწყო კაცობრიობის მსოფლიო ისტორიის ახალი თავი.

◆

ბალეტი „მთების გული“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): დამსახურებული არტისტი ლილი გვარამაძე (მანიჟე), ო. მაჩაბელი (ნათელა), ვ. ლიტვინენკო (ჯარჯი), გ. ბარხუდაროვი (მოურავი), ნ. გოროშკო (თავადი ერისთავი).

ქართული ბალეტი „მთების გული“

ჩემი პირველი ბალეტი

ქართული ცეკვა, როგორც სოლისტური, ისე ჯგუფური და მასობრივი, მდიდარია, ორიგინალური და საინტერესო. ამ მდიდარი მასალით მშვენიერი ბალეტის გაკეთება შეიძლება.

მუშაობის დროს ჩემს წინაშე იდგა ასეთი საკითხი: როგორ გამოვიყენო ქართული ცეკვა? თუ იგი მექანიკურად, ე. ი. ისე შევიტანე ბალეტში, როგორც ხალხშია, მაშინ გამოვა ეთნოგრაფიული სპექტაკლი და არა შემოქმედება. მე გადავწყვიტე შემეჯვარებინა კლასიკური ბალეტი და ხალხური ცეკვა. კლასიკურ ბალეტში შევიტანე ქართული ხალხური ცეკვების ელემენტები. ამით მიზნად ვისახავდი კლასიკური ბალეტის გამდიდრებას ხალხური ცეკვებით.

ცეკვების დაწერისას მე ასეთ ამოცანას ვისახავდი: მჭიდროდ დამეკავშირებინა ცეკვები მოქმედებისათვის. არ ვარგა, როცა ბალეტში ცეკვა არის ცეკვისათვის. ცეკვა ორგანიულ კავშირში უნდა იყოს მოქმედებასთან, გამოხატავდეს ნაწარმოების შინაარსს. მოქმედ პირთა სახეებიც ძირითადად გამოკვეთილია ცეკვის საშუალებით და არა პანტომიმით.

ცეკვების საშუალებით მომქმედ პირთა განწყობილების გამოხატვის ნიმუშია ჩემს ბალეტში მესამე მოქმედების ხორუმი, რომელიც გადმოგვცემს ხალხის მრისხანებას ფეოდალის წინააღმდეგ. სიყვარულის თემისათვის ავირჩიე სიმღერა „ნეტავი, გოგოვ, მე და შენ“... აქ სიმღერა ისე რიტმიულია, რომ საცეკვაო მუსიკაშია გადასული. მანიჟეს ცეკვისათვის, რომელიც გამოხატავს მის ოცნებას სატრფოზე, გამოვიყენე მეგრული „ოვნანა“.

ბალეტში ძირითადად სამი თემაა: გმირობისა (ჯარჯის ხაზი), ფეოდალებისა (ზაალის ხაზი) და სიყვარულისა (მანიჟეს ხაზი). ჩემის აზრით, სპექტაკლი რომანტიკულია, ასე ვთქვათ, რომეო და ჯიულეტას ხასიათისაა — სიყვარული სიკვდილზე ძლიერია. როცა ბალეტს ვწერდი, ყაზბეგის გმირები მედგა თვალწინ, მათი დიდი ვნებათაღელვით, უძლიერესი სიყვარულით, მაღალი გრძნობებითა და თავდადება-გმირობით.

კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძე

სწორი გზა

ქართული ქორეოგრაფიული სპექტაკლი სწორედ ამ გზით უნდა წარვმართოთ: კლასიკური ბალეტისა და ნაციონალური ცეკვების შეხმატკბილება. ა. ბალანჩივაძემ ეს შესძლო და ამით უთუოდ საფუძველი ჩაუყარა ქართული ბალეტის სწორ გზას. რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული საჭირო მოძრაობანი, რომლებიც სავსებით თავისებური ხასიათისა უნდა იყოს ნაციონალური ცეკვის ელემენტების კლასიკურ ბალეტში შეტანისას. თანდათანობით შესაფერი მოძრაობანი გამომუშავდება. მთავარი ის არის, რომ მსახიობს შეუძლია ქართულ ცეკვათა ელემენტების თავისუფალი გამოყენება. ეს სტილი — კლასიკურისა და ხალხურის შეერთება, შეხმატკბილება ჩვენ, მსახიობებს გვიცავს შეზღუდულობისაგან, გვიტოვებს განცდათა გადმოცემის საბალეტო ენას.

ამ ბალეტში მანიჟე მოფიქრებული მაქვს როგორც გულწრფელი სიყვარულით გატაცებული ქალიშვილის სახე. მანიჟეს არ შეუძლია გახდეს უგვარო მონადირის ჯარჯის ცოლი, მაგრამ იგი დაუფიქრებლად სწირავს თავის სიცოცხლეს საყვარელი ადამიანის გადასარჩენად. როლი, როგორც ვხედავთ, ძირითადად ლირიკულია და მეც ამ ხაზით გადავჭერი იგი.

საერთოდ, ჩემის აზრით, სპექტაკლი კარგი გამოვიდა. რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ, როცა მსახიობები „როლში შევლენ“, სპექტაკლი კიდევ უფრო ძლიერი იქნება.

ლილი გვარამაძე

„მთების გულის“ მხატვრობა

ბალეტისათვის მხატვრული გაფორმების შექმნისას მხატვარი დიდად არის შეზღუდული. საქმე იმაშია, რომ სცენის ფართობის ოთხი მეხუთედი ცეკვისათვის არის საჭირო, ხოლო დეკორაციებისათვის ტერიტორია მეტად შეზღუდულია. ასეთ პირობებში მე შევეცადე მომეცა საქართველოს თვალწარმტაცი ბუნების სურათები.

გაფორმებისას ჩვენ გარკვეული ეპოქა არ აგვიღია. ეს განსაკუთრებით შეეხება ტანსაცმელსა და არქიტექტურას.

მაყურებელი სცენაზე ხედავს ქართულ პეიზაჟს, ქართულ ტანსაცმელსა და მორთულობას. ნაწილობრივ ოპერის გაფორმებაში შეტანილია ზღაპრული ელემენტები. ასეთია, მაგალითად, მესამე მოქმედების მხატვრობა. ეს სავსებით შეეფერება მუსიკას, ბალეტის შინაარსსა და ხასიათს. ჩემს ამოცანასაც სწორედ ეს შეადგენდა—ბალეტისათვის შესაფერი მხატვრული გაფორმება მიმეცა.

ირ. გამრეკელი

ნათელა

ჩემი სურვილი იყო, რომ ნათელას როლი უფრო შესამჩნევი ყოფილიყო ბალეტში. სამწუხაროდ, როლი პატარაა. მე მაინც შევეცადე გადამექცია იგი შესამჩნევად და დასამახსოვრებლად.

ნათელა მე წარმომიდგენია, როგორც მხიარული, სიცოცხლით სავსე გოგონა, რომელმაც, იცის რა მანიჟეს და ჯარჯის ტრფობის ამბავი, ყოველნაირად ეხმარება მოტრფიალეთ.

როგორი გამოვიდა ჩემი ნათელა, დაე მაყურებელმა განსაჯოს.

ო. მაჩაბელი

ზაალი

ზაალი თავადიშვილია. მას უყვარს ერისთავის ქალი მანიჟე. ზაალი აღწევს მიზანს, დანიშნავს ქალს და ქორწილსაც აწყობს. მისი სახე, როცა ბალეტის დადგმაზე დავიწყეთ მუშაობა, დამდგმელის მიერ სწორად არ იყო გახსნილი. იგი წარმოდგენილი იყო უხეშ, თავდაუჭერელ მოქეიფედ. მუშაობის პროცესში ჩვენ ნაწილობრივ შევცვალეთ სახე, დავუახლოვეთ იგი რეალობას. ჩვენი ზაალი ზრდილობიანი, დარბაისელი თავადიშვილია, იმავე დროს თავმოყვარეა და ქალიშვილთან დამოკიდებულებაში თავდაჭერილი.

თუ შევძელით და ზაალის სახე ასე სწორად, რეალისტურად ავსახეთ, ჩვენს ამოცანას შესრულებულად ჩავთვლით.

ა. ჩიხლაძე
ჯ. ბაგრატიონი

საუკეთესო საბჭოთა ბალეტი

დიდი მორალური კმაყოფილებით ჩავაბარე ამ სეზონში ჩემი მეორე პრემიერა — ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული“. ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორის პარტიტურაზე მუშაობა იმდენადვე რთული იყო, რამდენადაც სასიამოვნო. ჩემის აზრით, ა. ბალანჩივაძის მუსიკა თავისი ხარისხით საუკეთესოა საბჭოთა საბალეტო ლიტერატურაში.

მუსიკა სიმფონიურია, ყველა სცენიური მოქმედება დინამიკური და ემოციურია. ავტორი ფართოდ იყენებს ქართულ ხალხურ სიმღერებს, ხალხური ცეკვების რიტმს და დიდი ოსტატობით ამუშავებს მათ. მთელ მუსიკაში შეიძლება აღნიშვნა მხოლოდ რამდენიმე მომენტისა, რომლებიც არ ეფარდება ბალეტის საერთო შეფასებას. ეს უმთავრესად შეეხება ინსტრუმენტირებას. სასურველია კომპოზიტორმა ერთხელ კიდევ გულდასმით გადასინჯოს მთელი ბალეტი, გამოასწოროს ეს დეფექტები და მაშინ პარტიტურა მთელ თავის ღირსებებს ბრწყინვალედ გამოავლენს.

საოპერო თეატრის ორკესტრის წინაშე ამ ბალეტის დადგმისას დიდად პასუხსაგები და იმავე დროს სასიამოვნო ამოცანა იდგა. ეს ამოცანა ორკესტრმა კეთილსინდისიერად გადასჭრა.

დირიჟორი ო. დიმიტრიადი

ჯარჯი

დამდგმელმა ბალეტის მთავარი გმირი ჯარჯი მეტად ლირიკულ ტონებში გამოკვეთა. მე კი ისე მესმის ეს გმირი—და მუსიკაც ასეა დაწერილი, — რომ იგი მებრძოლია ხალხის ინტერესებისათვის. თუმცა მიზანსცენებით ჯარჯი შეზღუდულია, მაგრამ მე ვეცადე შემექმნა სახე ყმაწვილისა, რომელმაც სიყვარულიც იცის, თავდადებაც, და რომელსაც შესწევს ძალა გახდეს ხალხის მეთაური ფეოდალებთან ბრძოლაში.

ეს სახე ჩემთვის საყვარელია. მე კეთილსინდისიერად შევისწავლე ქორეოგრაფია ამ სპექტაკლისათვის და ვცდილობ მაყურებელს ვუჩვენო ჯარჯის სწორი სცენიური სახე.

ვ. ლიტვინენკო

○

ჩემის აზრით, ჯარჯი სპექტაკლის ავტორს გმირულ სახედ უნდა მოეცა. დასაწყისში სატრფიალო თემა სჭარბობს, მაგრამ შემდეგ, მესამე მოქმედებიდან ლირიკულიდან იგი გადადის გმირულ ხაზზე და ჯარჯი გვევლინება როგორც ხალხის მეთაური, ფეოდალების წინააღმდეგ მებრძოლი.

ამ სახის გაკეთებისას ვცდილობდი არ დამემცირებინა მშვენიერი ლირიკული ადგილები, რომელიც ჯარჯის აქვს, მაგრამ იმავე დროს მომეცა იგი გმირულ ტონებში, როგორც მებრძოლი, ხალხის მეთაური.

ორიოდე სიტყვა მუსიკის შესახებ. კომპოზიტორმა მშვენივრად შეუფარდა ცეკვა შინაარსს. ყოველი ცეკვა ორგანიულად არის შექსოვილი მოქმედებაში. ეს აადვილებს მის შესრულებას. მუსიკა მდიდარია ემოციური ადგილებით, მელოდიურია. უნდა აღვნიშნო დირიჟორის ო. დიმიტრიადის ნაყოფიერი მუშაობა.

ს. გორსკი

მავრა გელაშვილის საქმე

(კასპი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

გასული წლის აგვისტოში „კომუნისტმა“ თავის მკითხველებს აცნობა გორის მეორე საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის მავრა გელაშვილის მიერ სახელმწიფო თანხების გაფლანგვის შესახებ. მ. გელაშვილი საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატობიდან გაირიცხა სახელმწიფო თანხების მითვისებისათვის.

1935 წლიდან გელაშვილი სახელმწიფოსათვის თანხების გამოძალვას ცდილობდა. ამაზე მოგვითხრობს მის შესახებ ამჟამად 5 ტომად შედგენილი საქმე. მიმდინარე წლის იანვარში გორის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ გელაშვილს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და მის მიერ გაფლანგული 14.088 მანეთის გადახდა მიუსაჯა. ეს განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ დაარღვია(?) და ხელმეორედ გამოძიებისათვის საქართველოს სსრ პროკურატურას გადასცა, საქართველოს სსრ პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა ზინა კეკელიძემ პირადი მოსაზრებებით გელაშვილს ჩამოაწერა 10.188 მანეთი.

22.23 სექტემბერს კასპში მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი გელაშვილის საქმეზე. სასამართლოს არ ჰქონდა საქმეზე დართული ნივთიერი მტკიცების საბუთები, რომლებიც გელაშვილს გაფლანგვაში ამხელენ. პროცესს არ ესწრებოდა სახელმწიფო ბრალმდებელი, აგრეთვე არ დასწრებიან 12 მოწმე და კალიგრაფ-ექსპერტები; არც მათი ჩვენებები გამოაქვეყნეს სამსჯავრო სხდომაზე. ამრიგად, სასამართლო პროცესი მომზადებული არ იყო. სასამართლომ შეიწყნარა გელაშვილის წუწუნი—დამნაშავე არა ვარო, და მოსამართლე გ. მეზურნოვმა ასეთი ლმობიერი განაჩენი დასწერა: „...გელაშვილს მიესაჯოს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ჩაეთვალოს წინასწარი პატიმრობა 1939 წლის 29 სექტემბრიდან და განთავისუფლდეს, ხოლო მასვე გადახდეს 2.638 მანეთი“.

ასე იხსნეს გამფლანგველი გელაშვილი. გადაუჭრელი დარჩა მხოლოდ, ვინ გადაუხდის გორის განათლების განყოფილებას დანარჩენ 11.450 მანეთს, რაც კომბინაციების გზით გელაშვილმა მიითვისა?

ისმეთ ინენიუს სიტყვა

ანკარა, 1 ნოემბერი (საკდესი). ანატოლიის სააგენტო რადიოთი აქვეყნებს რესპუბლიკის პრეზიდენტის ისმეთ ინენიუს მიერ პარლამენტის სესიის დღევანდელ ღია სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის ძირითად ნაწილს, რომელიც საგარეო პოლიტიკას ეხება.

უკვე 14 თვეა, — სთქვა ისმეთ ინენიუმ, — რაც ევროპის ომი მთელი ძალით გრძელდება. ომის განვითარება იმას იწვევს, რომ ტრაგედია ევროპის ფარგლებს გარეთაც ვრცელდება და საყოველთაო მსოფლიო ხანძრის სახეს იღებს. იმ ფაქტმა, რომ საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ინგლისის წინააღმდეგ მიმართულ იერიშებს მედგარ წინააღმდეგობას უწევენ, ომის ახალი ფაზა გამოიწვია და, ალბათ, ეს ფაზა ხანგრძლივი იქნება.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის შეფასების დროს ისმეთ ინენიუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ პოლიტიკაში მთავარ განმსაზღვრელ მომენტს თურქეთის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება წარმოადგენს. ისმეთ ინენიუმ აღნიშნა, რომ თურქეთის დამოკიდებულება ყველა მეზობელთან კვლავ ნორმალური იყო და რომ თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობა მეგობრულია. არამეომარი ქვეყნის პოზიცია, რომელიც თურქეთს უკავია, — სთქვა ისმეთ ინენიუმ, — შეუძლებელს ხდის, რომ რომელიმე მეომარმა ქვეყანამ თურქეთის ტერიტორია და საზღვაო სამფლობელოები გამოიყენოს. იტალია-საბერძნეთის ომის საკითხის შესახებ ისმეთ ინენიუმ განაცხადა, რომ თურქეთი თავის მოკავშირე ინგლისთან ერთად სწავლობს ამ ომიდან გამომდინარე შედეგებს.

დასასრულ, ისმეთ ინენიუმ ხაზგასმით აღნიშნა, თურქეთისა და ინგლისის კავშირი „მტკიცე და ურყევია“-ო.

იტალია-საბერძნეთის ომის გავლენა თურქეთის ვაჭრობაზე

სტამბოლი, 1 ნოემბერი (საკდესი). თურქული გაზეთი „ტანი“ სწერს, რომ ხმელთაშუა ზღვაში საომარი მოქმედების დაწყებიდან თურქეთსა და იტალიას შორის ვაჭრობა საბერძნეთის რკინიგზით ხორციელდებოდა. ახლა, იტალია-საბერძნეთის ომთან დაკავშირებით, სარკინიგზო მიმოსვლა შეწყვეტილია. იტალიასთან ვაჭრობა შეუძლებელი გახდა. საქონელი, რომელიც ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გაიგზავნა თურქეთს იტალიიდან საბერძნეთზე გავლით, ბერძნებმა დააკავეს და, როგორც სჩანს, კონფისკებულია.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად თურქეთს დარჩა მხოლოდ ორი სავაჭრო გზა დუნაიზე და ბასრაზე.

სამხედრო წესები ალბანეთის სამხრეთ პროვინციებში

რომი, 1 ნოემბერი (საკდესი). როგორც რომის რადიო გადმოგვცემს, ალბანური გაზეთი „ტომორი“ იუწყება, რომ გენერალ-ლეიტენანტ ჯაკომონის განკარგულებით, სამხედრო წესები გამოცხადდა ალბანეთის შვიდ სამხრეთ პროვინციაში. ამ პროვინციათა ყველა მცხოვრებს ქუჩაში გამოსვლა აეკრძალა საღამოს 10 საათსა და 30 წუთიდან დილის 6 საათამდე. ყველა რესტორანი, ბარი, კინო და კლუბი საღამოს 10 საათზე უნდა იხურებოდეს.

საბერძნეთის კრეისერ „ელის“ დაღუპვის გამო

ათენი, 1 ნოემბერი (საკდესი). 15 აგვისტოს ტინოსის ნავსადგურის მახლობლად უცნობი წყალქვეშა ნავის მიერ ტორპედირებულ იქნა საბერძნეთის კრეისერი „ელი“. საზღვაო შტაბი იუწყება: როგორც კვლევა-ძიებით გამოირკვა, ტორპედის ნამსხვრევები მოწმობს, რომ იგი იტალიური წარმოშობისაა. ამის მიხედვით შტაბი ამტკიცებს, რომ კრეისერი „ელი“ ჩაძირულია იტალიის წყალქვეშა ნავის მიერ.

რომი, 1 ნოემბერი (საკდესი). სტეფანის სააგენტო უარჰყოფს საბერძნეთის საზღვაო შტაბის მტკიცებას, ვითომც აგვისტოში იტალიის წყალქვეშა ნავს საბერძნეთის კრეისერი „ელი“ ჩაეძიროს. სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიის ტორპედის მწარმოებელი ქარხანა ტორპედებს მრავალ სახელმწიფოს აწვდიდა. ერთხანს, — ნათქვამია ცნობაში, — ინგლისიც ყიდულობდა მრავალ იტალიურ ტორპედს. ამიტომ, — აცხადებს სააგენტო, — თუ საბერძნეთის კვლევა-ძიების შედეგი სინამდვილეს შეეფერება, საბერძნეთის კრეისერ „ელის“ ტორპედირება ინგლისის გემს იტალიური ტორპედების საშუალებით მოუხდენია.

ამერიკის სამხედრო გემებისა და თვითმფრინავების კონცენტრაცია კუნძულ მარტინიკის მახლობლად

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო კი უესტიდან (ფლორიდის შტატი) იუწყება, რომ სამხრეთისაკენ სასწრაფოდ გაემართა ამერიკის 3 ნაღმოსანი. 29 ოქტომბერს სამხრეთისაკენ წავიდა 5 ნაღმოსანი და 11 საზღვაო ყუმბარმშენი. სამი ყუმბარმშენი დღეს დაბრუნდა. გაზეთი „ჰერალდი“, რომელიც მიამში გამოდის, სწერს, რომ არაოფიციალური ცნობებით, ამერიკის საზღვაო ძალებს თავს უყრიან სანტა ლუჩიას კუნძულთან, რომელიც მდებარეობს 25 მილზე საფრანგეთის კუნძულ მარტინიკის სამხრეთით.

საომარი მოქმედება ჩინეთში

სამხრეთ ჩინეთში. გუანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩინეთის ჯარი განაგრძობს ცალკეული პუნქტების გაწმენდას იაპონელებისაგან. ჩინეთის ჯარის მთავარი ძალები 30 ოქტომბერს ნანინში შევიდნენ, რომელიც 28 ოქტომბერს იაპონელებმა დასტოვეს.

ცენტრალურ ჩინეთში. იაპონელთა ოპერაცია ანხუეის, ჯეძიანისა და ძიანსის პროვინციების საზღვარზე მარცხით დამთავრდა. პირველ ხანებში იაპონელებმა რამდენიმე პუნქტი დაიკავეს, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდნენ თავიანთ პირვანდელ პოზიციებზე დაბრუნებულიყვნენ. შასინის (ხანჯოუს სამხრეთით) დაკავების შემდეგ ჩინეთის ჯარმა ჩრდილოეთის მიმართულებით წაიწია და რამდენიმე პუნქტი დაიკავა.

დაუდასტურებელი ცნობებით, იჩანში (ხუბეის პროვინცია) ბევრგან ხანძარი გაჩნდა. ფიქრობენ, რომ იაპონელები ქალაქის დატოვებას აპირებენ.

ჩრდილოეთ ჩინეთში. შანდუნის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში მარიონეტული ჯარის 2 ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი ჩინელთა მხარეზე გადავიდა.

1 ნოემბერი (საკდესი).

ომი აფრიკაში

რომი, 1 ნოემბერი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება: ჩრდილოეთ აფრიკაში ჩვენმა მოტორიზებულმა კოლონებმა იერიში მიიტანეს მტრის ძალებზე და ალამ-ელ-სამნეს (40 კილომეტრზე სიდი-ბარანის აღმოსავლეთით) გადალმამდე სდიეს. ჩვენმა ავიაციამ ძლიერი თავდასხმა მოახდინა მტრის პოზიციაზე, რომლის დროსაც სასტიკი საჰაერო ბრძოლა გაიმართა. ჩამოგდებულია მტრის 17 თვითმფრინავი. სამი ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

აღმოსავლეთ აფრიკაში ადიგალაზე მტრის თავდასხმამ მცირე მატერიალური ზარალი გამოიწვია. დაჭრილია 3 მკვიდრი. აგორდატის (ერიტრეა) ბომბარდირებას წარმატება არ მოჰყოლია.

რომი, 2 ნოემბერი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება: „აღმოსავლეთ აფრიკაში მტრის პატრულებმა ჯავშნიანი მანქანების დახმარებით იერიში მიიტანეს ჩვენს ერთერთ სანაპირო საგუშაგოზე ტესენეის ზონაში (სუდანის საზღვარი), მაგრამ უკუგდებულ იქნენ. ჩვენმა ერთერთმა კოლონამ, სძლია რა მტრის წინააღმდეგობას, დაიკავა სიუსეიბის სიმაღლეები კასალის მახლობლად. რომლებიც სუდანის ველზე ბატონობენ.

როზეირესის აეროდრომზე ჩვენი საჰაერო თავდასხმის დროს ჩამოგდებულია ინგლისის ორი ავიაგამანადგურებელი“.

ნეაპოლის ბომბარდირება

რომი, 1 ნოემბერი (საკდესი). როგორც იტალიის სარდლობა იუწყება, ინგლისის თვითმფრინავებმა ნეაპოლში ჩამოაგდეს რამდენიმე ყუმბარა, მათ შორის ერთი ცეცხლგამჩენი. ბომბარდირებამ დაზიანება გამოიწვია ბანიოლიში, პორტა კაპუანასა და პომილიანო დარკოში. მოკლულია ერთი კაცი, 5 კაცი დაიჭრა.

ამერიკის სამხედრო წარმომადგენელთა გამგზავრება ევროპაში

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის სამხედრო ატაშე იტალიაში პოლკოვნიკი ფისკე ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებიდან რომს თვითმფრინავით გაფრინდა, რათა თვალყური ადევნოს იტალიის საომარ მოქმედებას ჩრდილოეთ აფრიკაში. ამერიკელი პოლკოვნიკი ოსმლინი ევროპაში გაემგზავრა საიდუმლო მისიით. ამერიკის სასიგნალო სამსახურის კორპუსის ორი ოფიცერი ინგლისს გაემგზავრა.

ამერიკის ჯარის გადაყვანა პორტორიკოში

ნიუ-იორკი, 2 ნოემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ლენგლი ფილდიდან (აეროდრომი ვირგინიის შტატში) იუწყება, 18 ყუმბარმშენი და 2 მოიერიშე თვითმფრინავი „ა-17“ პორტორიკოში გაფრინდა: სახმელეთო ჯარი პორტორიკოში 28 ოქტომბერს გაიგზავნა.

სმეტსის განცხადება

ლონდონი, 2 ნოემბერი (საკდესი). სამხრეთ-აფრიკის კავშირის პრემიერმა სმეტსმა კეპტაუნში გამოსვლის დროს სთქვა, რომ აფრიკა მალე ბრძოლის ასპარეზი გახდება. მისი აზრით, დაიწყო შეტევა ბრიტანეთის იმპერიის დასაყრდენზე — ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონზე.

იაპონიის ახალი სამხედრო გემი

ტოკიო, 1 ნოემბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ დღეს ოსაკაში წყალში ჩაუშვეს იაპონიის ახალი სამხედრო გემი „ტანიკაძე“.

ბალეტი „მთების გული“. პირველი აქტი

იოანე პეტრიწი და ქართული კულტურა

ამ თემაზე პროფ. მოსე გოგიბერიძემ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში წაიკითხა ლექცია ინტელიგენციისათვის. ლექციაში წამოყენებულ და განვითარებულ იქნა მეტად საინტერესო და ორიგინალური აზრები.

ქართულ კულტურას დიდიხნის ისტორია აქვს. მისი ინტენსიური განვითარების ეპოქა იწყება X საუკუნის დამლევიდან, ე. ი. საქართველოს გაერთიანების დაწყების ეპოქიდან. ამ ეპოქის დიდი მოაზროვნე და გამოჩენილი ფილოსოფოსი იყო იოანე პეტრიწი. იოანე პეტრიწი ქრისტიანული სქოლასტიკის ისტორიაში დამწყებია იმ ახალი მიმართულებისა, რომელიც ცდილობდა „გონების არგუმენტებით“ და „თეორიით“ დაესაბუთებინა რელიგია, ვინ ზეცა აიძულა მოესმინა ფილოსოფიის არგუმენტები. პეტრიწს თავის რეფორმატორული იდეა რომ განევითარებინა, ცხადია, ამისათვის ობიექტური პირობები იყო საჭირო; ასეთი პირობები მას დავით აღმაშენებლის საეკლესიო პოლიტიკამ შეუქმნა, ხოლო ახალი იდეების წამოყენებისათვის საჭირო განათლება მან კონსტანტინეპოლში მიიღო. იმ დროინდელი ბიზანტიურ-ბერძნული ცივილიზაციის წიაღში აღზრდილი, ბერძნული ენის საუცხოო მცოდნე იოანე პეტრიწი ცდილობდა, როგორც თვითონ ამბობს, ქართველები გაეხადა ფილოსოფიური აზრების მონაწილედ; ქრისტიანულ მოძღვრებაში სიახლის შეტანისათვის მას სდევნიდნენ. ამ დევნას მისთვის, როგორც თვითონ გადმოგვცემს, ხელი შეუშლია გამხდარიყო ქართველების არისტოტელე. მაგრამ მას ქართველებისათვის მაინც შეუქმნია ფილოსოფიური აზროვნების სკოლა.

იოანე პეტრიწის სახელი ცნობილი იყო ძველ ქართულ მწერლობაში. მასში ხედავდნენ ქართული ენის რეფორმატორს, ქართული გრამატიკის შემდგენელს და ფილოსოფოსს. იგი, ბერის ტანსაცმელში გახვეული, ცდილობს აზროვნება შეიტანოს ქრისტიანულ სარწმუნოებაში. ამით ქართულმა აზროვნებამ შექმნა სქოლასტიკური ფილოსოფიის ის განვითარებული სახე, რომელსაც დასავლეთი თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ იწყებს. იოანე პეტრიწმა, როგორც დიდმა მოაზროვნემ, ნიადაგი მოამზადა ქართული კულტურის იმ აღორძინებისათვის, რომელიც ასი წლის შემდეგ რუსთაველმა დააგვირგვინა.

პროფ. მოსე გოგიბერიძემ ქრისტიანული დოგმების ისტორიის ანალიზის საფუძველზე მოგვცა იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შედარებით სწორი გაგება. მან საფუძვლიანად გააბათილა ის აზრი, თითქოს პეტრიწი ქართული წარმართობის მომდგენი იყო.

იოანე პეტრიწის შრომის შესწავლა, რასაც მეცნიერული ნიადაგი უკვე ჩაეყარა, საშუალებას მოგვცემს ღრმად გავიგოთ ქართული კულტურის სიღრმე და მისი განვითარების ხაზები.

ისტორიულ ბიბლიოთეკაში

თბილისში (ნავთლუღი, 5 დეკემბრის ქ. № 5) არსებობს ცენტრალური საქალაქო ისტორიული ბიბლიოთეკა, რომელიც მკითხველებს შინ წასაკითხად აწვდის ისტორიული შინაარსის წიგნებს. ბიბლიოთეკაში სწარმოებს კონსულტაცია ისტორიის საკითხებზე. ბიბლიოთეკა ადგენს წიგნების სარეკომენდაციო სიებს, კითხვის გეგმებს და აწარმოებს ლიტერატურის შერჩევას, იძლევა ცნობებსა და რჩევა-დარიგებას წიგნზე, ჟურნალსა და გაზეთზე მუშაობის შესახებ.

ბიბლიოთეკას მოეპოვება წიგნის დიდი ფონდი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის, სსრ კავშირის ისტორიის, სამოქალაქო ისტორიის, კავკასიისმცოდნეობის, არქიტექტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიის, ისტორიის მეთოდოლოგიისა და სხვა საკითხებზე.

ბიბლიოთეკიდან შეიძლება ყოველგვარი წიგნისა და ჟურნალის მიღება საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტის საშუალებით.

ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი, კაბინეტები, ლექსიკონები და იღებს 150-ზე მეტ ჟურნალსა და გაზეთს.

ბიბლიოთეკა ღიაა დღის 3 საათიდან ღამის 11 საათამდე გამოსასვლელი დღეების გარდა. ბიბლიოთეკით სარგებლობა უფასოა.

ბიბლიოთეკა დიდ სამსახურს გაუწევს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს და აგრეთვე ყველა იმათ, ვისაც აქვს ისტორიის შესწავლის სურვილი.

ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“ № 9

გამოვიდა საქართველოს სსრ განსახკომის ყოველთვიური პედაგოგიურ-მეთოდური ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“ № 9. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი წერილები: საბჭოთა სკოლის შემდგომი წარმატებისათვის (მეთაური), პროფ. ა. პანკრატოვის — „სტალინი და ისტორიული მეცნიერება“, განსახკომის ბრძანება ა. მაკარენკოს წერილების შესწავლის შესახებ, ა. მაკარენკო — „მშობელთა ავტორიტეტის შესახებ“, მისივე — „შრომაში - აღზრდა“, ილია სიხარულიძის — „ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ დამუშავება მე-6 კლასში“, ექ. თაყაიშვილის — „როგორ ვასწავლი რუსულ ენას არარუსულ სკოლებში“ (რუსულად), ნ. ჯაფარიძის — „ქიმიური ექსპერიმენტი სკოლაში“, თ. ჟორდანიასი — „ფურცლებშეზრდილიანთა ქვეკლასის მეთოდური დამუშავება“, ვ. მეტრეველი — „სასკოლო მიწის ნაკვეთი ბუნებისმეტყველების სამსახურში“, მ. ფარცხალაძე — „მათემატიკური წრე საშუალო სკოლაში“, გრ. სანაძე — „როგორ მოვაწყე და ჩავატარე ლაბორატორიული მუშაობა ფიზიკაში“, პროფ. გ. თავზიშვილი — „იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, კრიტიკა-ბიბლიოგრაფია და სხვ.

რძის პროდუქტების ახალი სამზარეულო

ქალაქის საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ლენინის რაიონში, ღრმაღელეში რძის პროდუქტების პირველი კატეგორიის ახალ სამზარეულოს ხსნის. სამზარეულო ყოველდღიურად გასცემს რაიონის ბავშვებისათვის 1.000-მდე პორცია ნაღებს, რძესა და ვიტამინიზებულ მასაზრდოებელ ნარევს. ამავე რაიონში საბავშვო ბაგებთან, რომელნიც მომსახურებას უწევენ კიროვის სახელობის ქარხნის, მუსკომბინატისა და ავტოსარემონტო ქარხნის მუშებს. 15-საწოლიანი სტაციონარი იხსნება ავადმყოფი ბავშვებისათვის.

დიდი დღესასწაულისადმი მიძღვნილი სამხედრო-ტაქტიკური ვარჯიში

ქუთაისი („კომუნისტის“ კორ.). სოფ. სიმონეთის მიმართულებით, ბროლის ქედის მიდამოებში, მოეწყო თავდაცვა-ავიაქიმელთა სამხედრო-ტაქტიკური მეცადინეობა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 23 წლისთავისადმი. „წითლების“ მხარეზე მონაწილეობას იღებდნენ ქალ. ქუთაისის საწარმო-დაწესებულებათა, პედინსტიტუტისა და საშუალო სკოლების თავდაცვა-ავიაქიმელები. ხოლო „ლურჯების“ მხარეზე — სიმონეთის, ქოგნარის, გოდოგნის, ბარდუბნის და ქუთაისის რაიონის სხვა სოფლების კოლმეურნე თავდაცვა-ავიაქიმელები — სულ 1.500-მდე კაცი.

სუსხიანი ამინდის მიუხედავად, ტაქტიკური ვარჯიშის ყველა ამოცანა შესრულებულ იქნა, თავდაცვა-ავიაქიმელმა მებრძოლებმა ჩინებულად გადალახეს ყველა სიძნელე და დაამტკიცეს, რომ საჭირო შემთხვევაში მათ შესწევთ უნარი [illegible] დაიცვან დიდი ოქტომბრის მონაპოვარი. მეცადინეობაში მონაწილეობდა ცხენოსან თავდაცვა-ავიაქიმელთა ნაწილი.

ტაქტიკური მეცადინეობა დამთავრდა. „წითლების“ და „ლურჯების“ მებრძოლები [illegible] შეიკრიბნენ, სადაც მოხდა კოლმეურნე თავდაცვა-ავიაქიმელთა და ქალაქ ქუთაისის თავდაცვა-ავიაქიმელების მეგობრული შეხვედრა. მიტინგზე მისასალმებელი და შემაჯამებელი სიტყვები წარმოსთქვეს საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის და პარტიის ქუთაისის რაიკომის სამხედრო განყოფილებათა გამგეებმა—ამხ. კ. გაბელიამ და შ. იმედაძემ, თავდაცვა-ავიაქიმის ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ს. აბრამიძემ და სხვ.

გ. ყურაშვილი

თავდაცვა-ავიაქიმის რადისტ-მოკლეტალღოსანთა შეჯიბრება

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავის აღსანიშნავად სსრკ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭო აწყობს საზოგადოების რადისტ-მოკლეტალღოსანთა ერთდღიურ სრულიად-საკავშირო შეჯიბრებას. შეჯიბრება დაიწყება 3 ნოემბერს დილის 8 საათზე და დამთავრდება საღამოს 10 საათზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს თავდაცვა-ავიაქიმის ყველა ორგანიზაცია, რომელსაც კი კოლექტიური და ინდივიდუალური რადიოსადგური აქვს, აგრეთვე ცალკეული მოკლეტალღოსანი თავდაცვა-ავიაქიმელები. შეჯიბრების პირობების თანახმად, მუშაობა იწარმოებს ტელეგრაფით, 20, 40 და 80 მეტრის დიაპაზონებით.

შეჯიბრებაში გამარჯვებული რადისტ-მოკლეტალღოსნები დაჯილდოებული იქნებიან სსრკ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს სიგელებით. (საკდესი).

კონცერტები ოქტომბრის დღეებში

საქართველოს სახელმწიფო ესტრადა ოქტომბრის დღესასწაულზე კონცერტებს გამართავს როგორც თბილისის ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში, ისე რაიონებშიც.

კონცერტის გამართვაზე განაცხადი შეიტანეს 26 კომისრის სახელობის ქარხანამ, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელმა ქარხანამ. სტომატოლოგიურმა ინსტიტუტმა და სხვ.

ბევრი განაცხადია მიღებული ჯარის ნაწილებისაგან.

სახესტრადის ბრიგადები კონცერტების გასამართავად მიემგზავრებიან წყალტუბოს, ბორჯომს, აბასთუმანს, ბათუმს, სურამს და სხვ. (საქდესი).

მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში

მუშაობას იწყებს საქართველოს უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი.

პირველი მეცადინეობა შესდგება 5 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8).

ლექციას თემაზე: „ფილოსოფიის ისტორია, როგორც მეცნიერება“, წაიკითხავს პროფესორი კ. ბაქრაძე.

ისტორიული ხელნაწერებისა და დოკუმენტების ფოტოპირები

საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების სეიფებში ინახება VII საუკუნისა და შემდგომი ხანების 9.511 ძვირფასი ისტორიული ხელნაწერი და 35.000-მდე დოკუმენტი. ბევრი მათგანი დიდ ღირებულებას წარმოადგენს არა მარტო საქართველოს, არამედ სსრ კავშირის მრავალი სხვა ხალხის ისტორიისა და ფილოლოგიისათვისაც.

ამ ფონდების დასაცავად საქართველოს მუზეუმი განყოფილების ყველა ხელნაწერისა და დოკუმენტის ფოტოპირს იღებს. ეს დიდი მუშაობა ორი წლის განმავლობაში შესრულდება. პირველ რიგში გადაღებულ იქნება ყველაზე უფრო ძვირფასი და იშვიათი მასალების ფოტოპირები. უკვე გადაღებულია პერგამენტსა და პაპირუსზე დაწერილი VIII საუკუნის სასულიერო საგალობელთა ხელნაწერი, პერგამენტზე დაწერილი X საუკუნის „ცხოვრების“ წიგნი, X საუკუნის სახელგანთქმული შატბერდისეული კრებული, რომელიც საქართველოს ისტორიისათვის მეტად ძვირფას ცნობებს შეიცავს, და სხვ.

(საქდესი).

ფეხბურთი

დღეს, 3 ნოემბერს, ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდება მორიგი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „მეტალურგის“ და თბილისის „დინამოს“ საჩვენებელი გუნდები.

თამაშის დასაწყისი 3 საათზე.

მწერალთა კლუბში

4 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე. მწერალთა კლუბში შესდგება ოქტომბრის რევოლუციის XXIII წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრულ-ლიტერატურული საღამო, რომელზედაც მოხსენებას — ქართული საბჭოთა მწერლობა ოქტომბრის XXIII წლისთავისათვის — გააკეთებს ამხ. **შალვა რადიანი.**

სიტყვებით გამოვლენ მწერლები **შალვა დადიანი** და **დემნა შენგელაია.**

ლექსებს წაიკითხავენ პოეტები — **კ. ბობოხიძე, ვ. გაბესკირია, რ. გვეტაძე, ალ. გომიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ეული, კ. კალაძე, ი. მოსაშვილი, გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ს. ჩიქოვანი** და **გ. ძიგვაშვილი.**

დასასრულ შესდგება კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი **ო. დოლიძე, გ. ვარდიაშვილი;** ტრიო, მსახიობები **გ. საღარაძე, ს. ჯაფარიძე, პ. კობახიძე,** და კომპ. **ვ. შავერზაშვილი.**

„საქართველოს ნავთი“

გამოვიდა ტრესტ საქნავთისა და კავკასიის ნავთსარეწების მუშათა კავშირის რაისარეწკომის ორგანოს — ყოველკვირეულ გაზეთ „საქართველოს ნავთის“ პირველი ნომერი.

საქართველოს ნავთის მუშაკთა გაზეთის პირველი ნომერი მიძღვნილია სრულიად - საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებებისადმი. გაზეთში გამოქვეყნებულია ნავთის სარეწების ბურღვის კანტორებისა და ნავთგადამმუშავებელი ქარხნების შეჯიბრების პირობები ნოემბერ-დეკემბრისათვის. ნომერში მოთავსებულია საქნავთის სარეწებიდან და საძიებლებიდან გამოგზავნილი წერილები. (საქდესი).

ლექცია

4 ნოემბერს, საღ. 8 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში ორჯონიკიძის რაიონის მომხსენებლებისა და აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. **მელქაძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა“.**

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სანკულტურის ქართული თეატრი—„ბრმა მუსიკოსი“, **მუსკომედია**—„ესპანელი მღვდელი“, **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—„ქაჯანა“ (მე-10 აბ.), დღისით—„ქაჯანა“ (მე-14 აბ.), **გრიბოედოვის სახელობის**—„ლევ გურიჩ სინიჩკინი“, **ფილარმონია**—სიმფონიური კონცერტი.

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **ოქტომბერი** — „თოფიანი კაცი“, **დამკვრელი** — „ვოლგა-ვოლგა“, **კომკავშირელი**—„ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“, **ლუქსემბურგის სახ.**—„ცამეტნი“, **სპარტაკი** — „ზარე“, **26 კომ. სახ.** — „ახალი დროება“, **კომინტერნი** — „უმზითვო პატარძალი“, **განთიადი**—„დიდი ვალსი“, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „არსენა“, **წითელი არმიის სახლი** — „სტანიცა დალნაია“, **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „გამანადგურებლები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
3 ნოემბერს
მთების გული
5 ნოემბერს 1 აბ. მე-2 წარმ.
ტრავიატა
8 ნოემბერს მე-7 აბ. მე-2 წარმ.
ქაქო ყაჩაღი
დასაწყისი 8 ს. 30 წ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
3 ნოემბერს
გიორგი სააკაძე
5 ნოემბერს
უდანაშაულო დამნაშავენი
6 ნოემბერს
ბოგდან ხმელნიცკი
დასაწყისი 8 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
3 ნოემბერს
ანრი სეარ
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
აბონენტთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ სავალდებულოა მესამე გადასახადის დაფარვა, ვისაც მესამე გადასახადი დაფარული არ ექნება, წარმოდგენაზე არ დაიშვება.

ვაჭრობის სახ. კომისარიატის დარგობრივი გაერთიანების „თბილკურვაჭრობის“ დასკვნითი ბალანსი 1940 წლის 1 იანვრისათვის ათას მანეთ.)

აქტივი — პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა	№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	საქონლის მარაგი	427	1	ფონდი	1504
2	ფულადი საშუალებანი	759	2	რეზერვები	18
3	გაანგარიშებანი	264	3	რეგულატივები	29
4	ხარჯები მომავ. პერიოდ. ოპერაციებ.	57	4	გაანგარიშებანი	500
5	განყენებული საშუალებანი	35	5	დაფინანსება ბიუჯეტიდან გეგმის გარეშე კაპ. დაბანდ.	68
6	ძირითადი საშუალებანი	270	6	საანგარიშო წლის მოგება	67
7	იჯარით აღებული ძირითადი საშუალ. დამთავრ. კაპიტ. [illegible]	197			
8	ნედლეულის, მასალის და სათბობის მარაგი	177			
	ბალანსი	2186		ბალანსი	2186

მოგება-ზარალის ანგარიში

ზარალი — მოგება

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა	№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	რეალიზაცია და ხარჯები	7008	1	რეალიზაცია და გაცემა	7078
2	დანარჩენი ხარჯები	236	2	დანარჩენი შემოსავალი	233
3	მოგებათა ნაშთი	67			
	ბალანსი	7311		ბალანსი	7311

დირექტორი **მახარაძე.** მთ. ბუღალტერი **ქურიძე.**

ბალანსი დამტკიცებულია ვაჭრ. სახ. კომისარიატთან არსებულ წლიური ბალანსების განმხილველი კომისიის მიერ 1940 წ 5 მარტს

1084 ვაჭრობის სახ. კომისარიატის მთ. ბუღალტერი **ფირსოვი.**

ქეიშვილი, შავგულიძე, ჰანტურიძე, მიქელაძე, ჩანტლაძე, ს. ბერიშვილი, ტ. ბერიშვილი, მამულაიშვილი იუწყებიან, რომ 3/XI 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
თომა ბოცვაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 8646

პროფ. კ. ერისთავი და პროპედევტიკული ქირურგიული კლინიკის ექიმთა მთელი შემადგენლობა თანაგრძნობას უცხადებენ ამავე კლინიკის ასისტენტ ანდრო ლვამიჩავას მისი დედის
დესპინე ლვამიჩავას
გარდაცვალების გამო. 8650

„სამშაქარლამო წარმოების“ კანტორის თანამშრომლები ლეკიშვილი, სულაძე, დაუშვილი, ხარაზი, კობახიძე, ჟორჟოლიანი, წულუკიძე, სვანაძე იუწყებიან კაკო ფალავას მამის
ანტონ ფალავას
გარდაცვალებას. 8629

მეგობრები წვერავა, გვასალია, ნიკოგოსოვი, ჩხენკელი, ჩიბალაშვილი, დავითაშვილი, ქარუმიძე, გამრეკელი, მეავანაძე, წიგნაძე. პანიევი, ბერიძე, კარპოვი, ა. ჯიბლაძე, ამბოკაძე იუწყებიან მ. კახიძის დის
ელენე კახიძის
გარდაცვალებას. 8640

ექიმები ტყავაძე, ა. ერისთავი, ჩახუნაშვილი, დიხამინჯია, ოდიშვილი, რატიშვილი, ფრიდმანი, ვახტანგიშვილი, ხოჭოლავა, გვენცაძე, ქურციკიძე, ფავიდოვი, ხურციძე იუწყებიან ა. ლვამიჩავას დედის
დესპინე ლვამიჩავას
გარდაცვალებას. 8653

ადვოკატები კუკულდავა, მახილაძე, მესხიშვილი, კილურაძე, ჰეჭინაძე, გვეტაძე, თოფურია, ებანოიძე, ლორთქიფანიძე, კალანდაძე, დვალიშვილი, ბეროშვილი იუწყებიან ელენეს მამის
ესტატე აბგაროვის
გარდაცვალებას. 8613

ა/კ ბერიას სახელობის რკინიგზის ცენტრალური ვენეროლოგიური დისპანსერის და ვენგანყოფილების გაერთიანებული კოლექტივი იუწყება ექ. ლევან ფალავას მამის
ანტონ ფალავას
გარდაცვალებას. 8654

ძმები იაშა, ვარდო, სერგო, გრიშა ცოლშვილით, დები ნინო, მარო ქმარშვილით იუწყებიან
ნიკოლოზ (კოლია) ანტონის-ძე გულიევის
გარდაცვალებას. გამოსვენება 3/XI 3 ს. ფასანაურის შეს. 5, ვაკის სასაფლაოზე. 8670

საქართველოს შამპანურის კომბინატის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს კომბინატის მთავარ ბუღალტერს ამხ. ანტონ გალუსტოვს მისი დედის
ანა პეტრეს-ასული გალუსტოვის
გარდაცვალების გამო. 151

მეუღლე ირინე, შვილები ალექსანდრა, ვალიკო, დათიკო, იოველ, სიძე კოწია გაბადაძე, შვილიშვილი ოთარ იუწყებიან
ამბროსი სიმონის-ძე ჟარხალაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან, ქუთაისში, 7/XI 8575

ფირცხელაური, გვერდწითელი, სოლომონია, ნაკაშიძე, სურგულაძე, სიხარულიძე, ყორღანოვა, სალაყაია, წეროძე, დოლაბერიძე, ლომინაძე, იაკობაშვილი იუწყებიან ჟორჟს და გოგონას მამის
მიხეილ ხოშტარიას
გარდაცვალებას. 8660

შვილები: მარო, ნინო, ანტონ, ნიკა, სიძეები ს. გირკელიძე, ლ. ღლონტი, რძლები ცუცა, ქეთო, შვილიშვილები: ვალიკო, ჟორჟიკა, ვასო, მუმულა, მარუსა, ჩიტო, ნოდარ, ნუგზარ იუწყებიან
პუპი ფინჯარაძის
გარდაცვალებას. 152

მეუღლე როზალია, შვილები კოლია, სერიოჟა, ჟორა, ელენე, რძლები: შურა, თამარ, ქეთო ოცხელები, სიძე შაქრო ჰაჭიაშვილი იუწყებიან
სტეფანე პეტრეს-ძე ოცხელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 5/XI. 150

კოოპინკავშირის არტელ „სიმტკიცის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე არტელის გამგეობის თავმჯდომარეს სოსო მესხს მისი დის
ანიკოს
გარდაცვალების გამო. 8665

მეუღლე ნინო პლატონის-ასული, შვილი ოთარ გველესიანები, ლიდა მარუაშვილი იუწყებიან
ზურაბ ივანეს-ძე გველესიანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4/XI 7 ს. ენგელსის, 40, გამოსვენება 6/XI 6 ს. ვაკის სასაფლაოზე. 8667

შვილი ცუცა, სიძე ევგენი, შვილიშვილები გიული და გულნაზი მიქაძეები იუწყებიან
კატო ტარასის-ასულ აბდუშელიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/XI ს. ბეჟუეთში. 8674

კალანდაძე, მგელაძე, გერგაია, ანთელიძე, ეიდელმანი, თოდაძე, წულაია, რამიშვილი, არუშანოვი იუწყებიან, რომ 3/XI 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
თომა ექვთიმეს-ძე ბოცვაძის
პანაშვიდი. 8662

სიძე არტაშ აგაჯანოვი, ლიდა თამარ შვილებით იუწყებიან
ნიკოლოზ (კოლია) ანტონის-ძე გულიაშვილის
გარდაცვალებას. 8672

მეუღლე ლიდა, შვილები ელენე, ევგენია, ნატაშა, სიძეები და შვილიშვილები იუწყებიან
დომენტი მღვდელაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება რიყის ქ. 12, 3/XI 5 ს. 8669

ვლადიმერ ქიქოძე, ვერა ბალკანსკაია, ნინო კობახიძე იუწყებიან
ბარბარე ცხომელიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 3/XI, დღის 3 ს. ელბაქიძის დაღმართი № 5. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

მეუღლე ოლღა, შვილები ანტონ, ცურა, ფუშა, კოლია, პანტე, ჭანჭუ, რაფო, ლიპა, რძლები, სიძეები, შვილიშვილები იუწყებიან
ტრიფონ პავლეს-ძე ნადარეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/XI ს. ონტოფოში. 8649

ცოლი ლუბა, მშობლები ანა, გიორგი, დები ნინო, ალექსანდრა ქათამაძეები, სიძე ვასილ მაკარიძე ცოლშვილით იუწყებიან
ვარლამ გიორგის-ძე ქათამაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 3/XI ქვედა საქარაში. 8651

ნინო სირაძე, მაყვალა კვარაცხელია, ეთერ კალანდაძე, ცაცა გაბუნია იუწყებიან მეგობრის
თინა გონაშვილის
გარდაცვალებას. 8654

ძმა იორამ, რძალი დარო, ძმისწულები დათა, ვასილ ცოლშვილით, ანა ქმარშვილით იუწყებიან
ზაქარია იოსების-ძე მჭედლიშვილის
გარდაცვალებას. 8655

კასპის რაიკოოპკავშირის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ნინო ქათამაძის ძმის
ვარლამ ქათამაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხესტაფონში 3/XI. 8661

რამიშვილი, სიხარულიძე, გასპაროვი, ნუბაროვი, სარქისოვი, მგრელიძე, შეყელაძე, კალადეევი, ხაბურზანია, ბაღდასაროვი, ხოშტარია, ქინქლაძე, მზარელუა, გეურქოვი, დუვლაძე იუწყებიან
ესტატე აბგაროვის
გარდაცვალებას. 8653

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს — 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—83 ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის— 3—80—84, წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგისა და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—51—81, სტამბის დირექტორის— 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 3455